ევროკავშირი
საქართველოსთვის
ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა

საქართველოში ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის შეფასება

ფერმერთა საჭიროებების ჭრილში

ASSOCIATION OF YOUNG
ECONOMISTS OF GEORGIA

2017
წელი

ევროკავშირი
საქართველოსთვის

ENPARD: სოფლისა და სოფლის მეურნეობის
განვითარების ხელშეწყობა

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადდა ENPARD - ის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ პროექტ "მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭის რეგიონებში"-ს განმახორციელებელი პარტნიორები. პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ENPARD - ის პოზიციას.

ASSOCIATION OF YOUNG
ECONOMISTS OF GEORGIA

შინაარსი

აღმასრულებელი წინასიტყვაობა 4

კვლევის მეთოდოლოგია..... 8

კოოპერატივების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების მიმოხილვა 10

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ დამოკიდებულებისა და არსებული სახელმწიფო პროგრამების შეფასება 16

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ დამოკიდებულებები 16
- ფერმერთა დამოკიდებულებები და შეფასებები პროგრამების მიმართ 20
- კოოპერატივების განვითარების არსებული დონე - მიღწევები და პრობლემები..... 25
- კოოპერატივების მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები 31
- ინფორმაციის მოძრაობის არხები 32

ძირითადი რეკომენდაციები..... 36

დანართი - კვლევის სახელმძღვანელო ინსტრუმენტები..... 40

აღმასრულებელი წინასიტყვაობა

კვლევა განხორციელდა 2017 წელს საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის მიერ, საქველმოქმედო ჰუმანიტარულ ორგანიზაციასთან - ,,People in Need" თანამშრომლობით. აღნიშნული კვლევა წარმოადგენს იმერეთისა და რაჭის რეგიონში კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის შეფასებას ფერმერთა შეხედულებებზე დაყრდნობით.

კვლევის შედეგები ასახავს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: კოოპერატივების განვითარების არსებული მდგომარეობის შეფასება, ფერმერთა დამოკიდებულება კოოპერატივების მიმართ და არსებული საჭიროებები, სოფლის მეურნეობის კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და მისი პროექტების ზეგავლენის შეფასება და ა.შ.

კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2013 წელს, როდესაც შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. ამასთან, საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ (რომელიც 2013 წლის 12 ივლისს დამტკიცდა) აწესრიგებს კოოპერატივების ოპერირების და დაკავშირებულ სხვა პროცედურებს. შესაბამისად, 2013 წლიდან შეიქმნა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ბაზა, რათა ფაქტობრივად მოხდეს კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერატივების განვითარების მიმართულებით მრავალი წლის განმავლობაში ძალიან აქტიურად მუშაობს საერთაშორისო სექტორი, რის შედეგადაც მომზადდა ნიადაგი ამ მიმართულებით ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

კოოპერატივის გამოკვლეულ წევრ რესპოდენტთა ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ მათ კოოპერატივი შექმნეს გრანტის მისაღებად ანდა შესაბამის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. შედარებით მცირე ნაწილისათვის კი ძირითადი მამოძრავებელი ძალა ერთობლივი წარმოების შედეგად მიღებული უკეთესი შედეგებია. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი „უკეთესი განზრახვით“ შექმნილი კოოპერატივები, ძირითადად მცირე ზომის არიან და წარმოადგენენ მცირე სამეზობლოს, სანათესაოს ანდა სამეგობროს ფორმალურ გაერთიანებას, რომლებსაც ჰქონდათ ერთობლივად საქმიანობის გაწევის პოზიტიური გამოცდილება. ფერმერთა საკმაოდ დიდი ნაწილი კვლავ ეჭვის თვალით უყურებს კოოპერაციის იდეას და ის კვლავ კოლექტიურ კოლმეურნეობასთან ასოცირდება.

ფერმერთა აზრით კოოპერირების დადებითი მხარეებია: რესურსების გაერთიანება; გრანტის/დახმარების მიღების შესაძლებლობა; შესაბამის სახელმწიფო პროგრამებზე ხელმისაწვდომობა; ხარჯების შემცირება; გაფართოების შესაძლებლობა; ხოლო უარყოფითი: რთული მენეჯმენტი; ახალი წევრების მოზიდვა; დიდია ბიუროკრატია/ბევრი ფორმები; სხვა სახელმწიფო პროგრამები არაა გათვლილი კოოპერატივებზე; ძნელია რაიმე გადაწყვეტილების სწრაფად მიღება, ასოცირდება საბჭოთა კოლმეურნეობასთან.

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ფაქტობრივი მდგომარეობით დანერგილია ერთი სარკმლის პრინციპი ადგილობრივი საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურების სახით, რადგანაც ყველა მათთვის აქტუალურ საკითხზე პირველ რიგში სამსახურებს მიმართავენ. შესაბამისად, დღის წესრიგში უნდა დადგეს აღნიშნული სამსახურების გაძლიერება როგორც ადამიანური რესურსების რაოდენობის, ასევე მიწოდებული სერვისებისა და ინფორმაციის ხარისხის ამაღლების კუთხით.

კოოპერატივებთან დაკავშირებული მოტობლოკებით უზრუნველყოფისა და მეფუტკრეობის ხელშეწყობის პროგრამები როგორც ბენეფიციარების, ასევე არა ბენეფიციარი კოოპერატივების მიერ დადებითად და საჭიროდ ფასდება. განსაკურებულად დადებითად აფასებენ რაჭის რეგიონში მოტობლოკების მიმართულებას. კოოპერატივის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან და საჭირო ინიციატივად მიიჩნევს მეფუტკრეობის ხელშეწყობის პროგრამას. აღნიშნულ პროგრამებში მონაწილეობა მათთვის განსაკუთრებულ ბარიერებთან არ ყოფილა დაკავშირებული.

შედარებით დაბალი შეფასებები მიიღო მერძევეობისა და მევენახეობის მიმართულებებმა. რესპოდენტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეს პროგრამები არაა მორგებული მათ ადგილობრივ საჭიროებებზე და ვერ ითვალისწინებს გეოგრაფიულ თავისებურებებს. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ მიმართულებებში ჩართული კოოპერატივები ვერ მოხვდნენ კვლევის გეოგრაფიული არეალის შეზღუდვის გამო.

კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ ასეთი პროგრამები წარმოადგენენ მასტიმულირებელ ძალას ადგილობრივი ფერმერებისათვის შექმნან კოოპერატივი, ისევე როგორც საერთაშორისო პროგრამების საგრანტო კომპონენტები. შესაძლოა ასეთი სარგებლის მიღების მიზნით გაერთიანება არ იყოს საუკეთესო მეთოდი კოოპერირების ხელშეწყობისათვის, თუმცა განვითარების მიმდინარე ეტაპზე ასეთი შედეგებიც საკმაოდ მნიშვნელოვანია.

მიმდინარე ეტაპზე სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამები შეიძლება შეფასდეს, როგორც კარგი დასაწყისი, თუმცა მნიშვნელოვანია, განხორციელდეს პროგრამების კონკრეტულ ინდიკატორებზე დაფუძნებული გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარება, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც არსებული გამოწვევები, ასევე განისაზღვრება სტრატეგიული მიზნები.

პროგრამების დაგეგმარების გაუმჯობესების კუთხით ყველაზე ხშირად დასახელებული საკითხები იყო: რეგიონული თავისებურებების გათვალისწინება; სხვა დარგებისათვის ანალოგიური პროგრამების ამოქმედება (ძირითადად მემცენარეობის მიმართულებით) და მხარდაჭერა ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით.

ყველა კოოპერატივი მზადაა შესაბამისი პროგრამების განხორციელების შემთხვევაში გაწიონ თანადაფინანსება. საგულისხმოა, რომ ის კოოპერატივები, რომლებსაც მიღებული აქვთ საგრანტო დაფინანსება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მზად არიან საშუალოდ

20-25%-იან თანამონაწილეობაზე, ხოლო დანარჩენმა 10-15%-იანი თანადაფინანსების მზაობა დაასახელეს.

განსაკუთრებით ხშირად ფერმერთა მხრიდან დადგა კანონმდებლობის აღქმის და საჭირო პროცედურების სათანადოდ გატარების სირთულეები. ამასთან დაკავშირებით, ისინი აღნიშნავენ, რომ ზოგადად პრობლემაა „ქაღალდთან მუშაობა“, რისი არც ცოდნა და არც გამოცდილება ფერმერს არ გააჩნია. საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ გამონაკლისის გარეშე ყველა ფერმერი შეეხო კანონმდებლობის აღქმისა და ბიუროკრატიის სირთულეს. შესაბამისად, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა კოოპერატივის პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნა, რომელიც ერთის მხრივ ასახავდა როგორც კანონმდებლობის განმარტებას და საჭირო ფორმების შევსების ინსტრუქციებს, ასევე მისცემდა პრაქტიკულ რჩევებს მენეჯმენტისა და ოპერირების კუთხითაც.

კოოპერატივის წევრებისათვის ასევე მნიშვნელოვან პრობლემებად დასახელდა: ახალი წევრების მოზიდვა; არასაკმარისი ცოდნა და უნარები; ბაზარზე წვდომა/გაყიდვები; ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.

ფერმერთა პოზიციებით, ამგვარ კოოპერატივების ხელშემწყობ პროგრამებს რისკები ნაკლებად აქვს და მათთვის ძირითად რისკ ფაქტორებს ზოგადად სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი შემთხვევები წარმოადგენენ: ბუნებრივი კატასტროფები (ძირითადად გვალვა, ქარი, სეტყვა); დაბალი ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე; ფალსიფიცირებული შხამ-ქიმიკატები; ფალსიფიცირებული პროდუქცია (განსაკუთრებით თაფლის შემთხვევაში); ხოლო, დაინტერესებული მხარეების აზრით უფრო სხვა ტიპის რისკებია სახეზე: მაღალი ალბათობით პროგრამების ბენეფიციართა (კოოპერატივების) დიდი ნაწილი ვერ განვითარდება სათანადოდ; წვდომა ბაზარზე; პასუხისმგებლობის შემცირება და გაზარმაცება.

როგორც კვლევიდან ჩანს კოოპერატივებისათვის ინფორმაციის ძირითად წყაროს ადგილობრივი საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურები წარმოადგენენ. მათგან ისინი ღებულობენ ინფორმაციას, როგორც კოოპერატივების სააგენტოს პროგრამების, ასევე სხვა სახელმწიფო თუ საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად აქტუალურია ადგილობრივ საკონსულტაციო საინფორმაციო სამსახურებში შესაბამისი პერსონალის მუდმივი გადამზადება და მათი სათანადო ცოდნითა და ინფორმაციით აღჭურვა.

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ როგორც ფერმერები, ასევე დაინტერესებული მხარეები საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, იქნება ეს რადიო თუ ტელევიზია. კომუნიკაციის ეს ინსტრუმენტები განსაკუთრებულად აქტუალურია კოოპერირების დადებითი მხარეების დემონსტრირებისათვის. ხშირად გაჟღერდა მოსაზრება, რომ აუცილებელია წარმატებული კოოპერატივების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება, როგორც კარგი მაგალითისა. ეს მნიშვნელოვნად შეცვლის

დამოკიდებულებას და გაზრდის ფერმერთა მოტივაციას. ამასთან, აღნიშნული მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალგაზრდების დაინტერესებისთვისაც.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, როგორც ინსტიტუტის არსებობას და ახლა დღის წესრიგში უნდა დადგეს მისი გაძლიერება, მანდატის გაფართოება და შესაძლებლობების გაძლიერება, რათა განახორციელოს სხვადასხვა პროგრამა და ინიციატივა, მათ შორის კოოპერატივების წევრთა მუდმივი გადამზადების პროგრამების, ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და გაყიდვების ხელშეწყობის ღონისძიებების გატარებისათვის.

კვლევა განხორცილდა ევროკავშირის მხარდაჭერით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ხელშეწყობით, პროექტის ”მცირე ფერმერული კოოპერატივების მწარმოებლურობის გაძლიერება იმერეთისა და რაჭის რეგიონებში” ფარგლებში.

კვლევის მეთოდოლოგია

<u>კვლევის მიზანი:</u> ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის და შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შეფასება ფერმერთა მხრიდან, მათი მოლოდინების, დამოკიდებულებებისა და საჭიროებების ტენდენციების გამოვლენა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ამოცანები და ინსტრუმენტები

<u>ამოცანა 1.</u> პოლიტიკის და არსებული პროგრამების მიზნებისა და პროცედურების შეფასება	•სააგენტოს შინაგანაწესის, კოოპერატივების შესახებ კანონის სკრინინგი; •ჩაღრმავებული ინტერვიუები ს/მ სამინისტროს წარმომადგენლებთან; •ჩაღრმავებული ინტერვიუები ბენეფიციარებთან; •ფოკუს-ჯგუფები ფერმერებთან
<u>ამოცანა 2.</u> ფერემების მიზნობრივი პროგრამების ინფორმირებულობის, მოლოდინების, დამოკიდებულებების, საჭიროებების ტენდენციების დადგენა; არსებული პოლიტიკის შეფასება	•ფოკუს-ჯგუფები ფერმერებთან; •ჩაღრმავებული ინტერვიუები ბენეფიციარებთან, ექსპერტებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის და ადგილობრივი საკონსულტაციო სამსახურების წარმომადგენლებთან;
<u>ამოცანა 3.</u> გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავება	•ჩაღრმავებული ინტერვიუ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან; •ჩაღრმავებული ინტერვიუები დაინტერებულ მხარეებთან •ჩაღრმავებული ინტერვიუები ბენეფიციარებთან და ექსპერტებთან;

კვლევის ინსტრუმენტად განისაზღვრა 2 მიმართულება:

(1) **<u>ფოკუს- ჯგუფები ფერმერების მონაწილეობით</u>**

კვლევის ფარგლებში ჩატარდა სულ 10 ფოკუს-ჯგუფი, 1 ჯგუფი თითოეულ მიზნობრივ მუნიციპალიტეტში (სულ 9) და 1 გაერთიანებული რეგიონში, მეფუტკრეობის დარგში არსებულ კოოპერატივებთან. ფოკუს-ჯგუფზე დამსწრე მონაწილეთა საშუალო რაოდენობა იყო 10-12 ფერმერი. ფერმერთა შერჩევისას უზრუნველყოფილ იქნა დარგობრივი და გეოგრაფიული დიფერენციაცია. ამასთან, მონაწილეთა მინიმუმ ნახევარი იყო მოქმედი კოოპერატივის წევრი. პროპორციები სექტორებს შორის შეესაბამებოდა მუნიციპალიტეტში არსებული კოოპერატივების პროფილებს. ფოკუს-ჯგუფში მაქსიმუმ ნახევარი მონაწილეებისა იყვნენ საშუალო ზომის ფერმერები, რომლებიც (1) გეგმავენ კოოპერატივში გაერთიანებას და/ან (2) არ სურთ და არც გეგმავენ კოოპერატივში გაერთიანებას.

ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა წინასწარ შემუშავებული სახელმძღვანელოს შესაბამისად (დანართი 1), მომზადდა აუდიოჩანაწერი და შესაბამისი ტრანსკრიპტი. მიღებული შედეგები გაანალიზდა და შედეგად მოხდა ისეთი მიმართულებების გამოვლენა, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას ანდა მნიშვნელოვან მოდიფიკაციას.

(2) <u>ჩაღრმავებული ინტერვიუ დაინტერესებულ მხარეებთან</u>

კატეგორია	**რაოდენობა**	**ამოცანა N**
მიზნობრივი პროგრამის ბენეფიციარი კოოპერატივები	14	1, 2,3
არა ბენეფიციარი კოოპერატივები	8	1, 2,3
ს/მ სამინისტრო, კოოპერატივების განვითარების სააგენტო	3	1,3
ადგილობრივი საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლები	9	1,2,3
კოოპერირების საკითხზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები	16	3

ჩაღრმავებული ინტერვიუსთვის მომზადდა ჩარჩო სახელმძღვანელო (დანართი 2), რომელიც ადაპტირდა რესპოდენტის კომპეტენციისა და პროფილის გათვალისწინებით. სახელმწიფო პოლიტიკის გაუმჯობესების რეკომენდაციების შემუშავებისათვის ინტერვიუები სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან ჩატარდა ორ ეტაპად: (1)კვლევის დაწყების პირველ ეტაპზე, რათა დაზუსტებულიყო კვლევისათვის აქტუალური საკითხები სახელმწიფო პოლიტიკისა და ხედვების კუთხით. და (2) განმეორებითი ინტერვიუ კვლევის ბოლო ეტაპზე, როდესაც ფერმერების დამოკიდებულებები და პოზიციები უკვე გამოვლენილი იყო და სააგენტოს წარმომადგენელს ჰქონდა საშუალება დაეფიქსირებინა ხედვები, კონკრეტულ გამოწვევებთან მიმართებაში.

კოოპერატივების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების მიმოხილვა

2013 წლის 20 სექტემბერს შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. სააგენტოს მიზნად განისაზღვრა სოფლისა და სოფლის მეურნეობის აღორძინების ხელშეწყობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების გზით; სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა; სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობისა და კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება, წარმოების რენტაბელობის ამაღლება და ეროვნული ეკონომიკის განვითარება; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფოს ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ სახელმწიფოს ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელების მიზნით გრანტების გაცემა.

სააგენტო ახორციელებს შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდამჭერ პროგრამებს:

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამა“

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფის პროგრამა“ მცირეგაბარიტიანი აგროტექნიკის შეღავათიან ფასად, 900 ლარად (რაც მისი ღირებულების 24 % შეადგენს) კოოპერატივებისათვის გადაცემას ითვალისწინებს. თითოეულ კომპლექტში შედის მოტობლოკის აგრეგატი სათიბით, გუთნით, კულტივატორით და ხელის სათესი. დევნილებისა და ეკომიგრანტების მიერ შექმნილ, ასევე მაღალმთიან, სასაზღვრო და საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულ კოოპერატივებს თითო კომპლექტის შესყიდვისას დამატებით გადაეცემათ 1 ხელის სათესი 1 ლარად.

პროგრამის განხორციელება 2014 წლის 1 სექტემბრიდან დაიწყო. 2016 წლის დეკემბრის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე 684 კოოპერატივი დაკმაყოფილდა 1539 აგროკომპლექტითა და დამატებით 201 ხელის სათესით. შედეგად სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები აღიჭურვა მცირეგაბარიტიანი აგრო-ტექნიკით, რაც ხელს უწყობს რთული რელიეფის მქონე და მცირე მიწის ნაკვეთების დამუშავებასა და ეკონომიკურ საქმიანობაში მათ ჩართულობას. პროგრამა ამ ეტაპზე აღარ მიმდინარეობს.

„თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის გზით“

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 4 ივნისის N 252 დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო პროგრამა „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის გზით“, რომლის მიზანია თხილის წარმოების, გადამუშავებისა და

რეალიზაციის ერთიანი ციკლის შექმნა. თხილის თვითღირებულების შემცირება და მისი საექსპორტო პოტენციალის ზრდა;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში აშენდა და შესაბამისი ტექნიკა-დანადგარებით აღიჭურვა თხილის საშრობი და სასაწყობე ინფრასტრუქტურა, რომელიც ყოველდღიურად 24 ტონა თხილის გაშრობის შესაძლებლობას იძლევა. სასაწყობე მეურნეობა გათვლილია 500 ტონამდე თხილის შესანახად. აღნიშნული ინფრასტრუქტურა 5 წლიანი იჯარით სარგებლობაში გადაეცა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს „დარჩელის თხილი“, რომელიც აერთიანებს 500-ზე მეტ მეპაიეს და აკმაყოფილებს პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. პროგრამით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში კოოპერატივს უფლება აქვს მოითხოვოს ინფრასტრუქტურის გამოსყიდვა.

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“

სახელმწიფო პროგრამის მიზანია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, წარმოებული თაფლისა და მეფუტკრეობის სხვა პროდუქტების ხარისხისა და რაოდენობის ზრდა, ასევე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის კაპიტალური ინვესტირების განხორციელება და მეპაიეთა კვალიფიკაციის ამაღლება. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს სკები, თაფლის საწური (ციბრუტი) და ჯამურად 2200 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი ჭურჭელი 70%-იანი თანადაფინანსებით გადაეცემათ.

პროგრამაში მონაწილე კოოპერატივები იღებენ ტექნიკურ დახმარებას „თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2014 წლის 26 დეკემბერის №714 დადგენილების“ ძირითადი მოთხოვნების დანერგვასთან დაკავშირებით, ასევე პროგრამაში მონაწილეს უფლება აქვს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიაში წარმოადგინოს მის მიერ წარმოებული თაფლის ერთი ნიმუში უსასყიდლოდ. 2016 წელს მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში 164 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა 13 936 სკა, 28 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს 28 ერთეული თაფლის საწური (ციბრუტი), ასევე 27 კოოპერატივმა მიიღო ჯამურად 61 400 ლიტრის მოცულობის თაფლის შესანახი ავზები.

რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამა
სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული რეგისტრაციის შედეგად 9 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს სხვადასხვა სიმძლავრის რძის მიმღებ-გადამამუშავებელი საწარმოო დანადგარები გადაეცა. კოოპერატივებმა, ასევე მიიღეს ნედლი რძის კონტროლის საველე ლაბორატორიული ხელსაწყოები და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მიზნით ხელოვნური განაყოფიერებისათვის საჭირო აღჭურვილობა.

კოოპერატივების ტექნიკური დახმარება. 2015 წელს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 30-მდე მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ჩატარდა პრაქტიკული ტრენინგი „საგადასახადო კოდექსთან“ დაკავშირებით. ტრენინგების ციკლში 233 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის 387 წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა.

ტექნიკური ტრენინგების მიწოდებისას სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მხრიდან აქცენტი გაკეთებული იყო დარგობრივ მიმართულებებზე: 35-მდე კოოპერატივის წარმომადგენელი დაესწრო ბოსტნეული კულტურების მოვლა-მოყვანის თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ სასწავლო სემინარს, რომელიც სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის და ჩინური მხარის, შპს „ჰუნანის” სოფლის მეურნეობის ჯგუფის მხარდაჭერით გაიმართა; კოოპერატივების 11-მა წარმომადგენელმა მეფუტკრეობისა და მარცვლეულის ზეთის წარმოების მიმართულებით სამთვიანი სასწავლო კურსი გაიარა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში; 10 რძის მწარმოებელი კოოპერატივის წარმომადგენელი გაეცნო ახალციხეში, წნისის რძის ქარხანაში რძის პროდუქტების თანამედროვე მეთოდებით წარმოების პროცესს. ამასთან, 11 კოოპერატივის წარმომადგენელი იმყოფებოდა სასწავლო ტურით ესტონეთში, 2 კოოპერატივის წარმომადგენელი ამერიკის შეერთებულ შტატებში ადგილობრივი კოოპერატივების მეურნეობების დათვალიერებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.

უნდა აღინიშნოს EU/ENPARD-ის პროგრამის „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების ხელშემწყობი პროექტი”, რომლის ფარგლებშიც EVOLUXER S.L-ის მიერ 800 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის 1600-ზე მეტ წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრენინგი სხვადასხვა მოდულებში: სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საფუძვლები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ორგანიზაციული განვითარების ციკლი, საორგანიზაციო აუდიტის მეთოდოლოგია, სამართლებრივი რეგულირებისა და შიდასაწარმოო ურთიერთობების წესები, ბიზნეს დაგეგმარება. ამავე პროგრამის ფარგლებში 224 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის 400-ზე მეტ წარმომადგენელს ჩაუტარდა ტრენინგი ფინანსურ და საგადასახადო აღრიცხვის საფუძვლებში.

საქართველოს მასშტაბით სულ (31.12.2016 მდგომარეობით) რეგისტრირებულია 1586 სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივი. სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივები რეგიონების მიხედვით შემდეგნაირად არიან განაწილებულები: კახეთი-156; ქვემო ქართლი-224; მცხეთა-მთიანეთი-86; შიდა ქართლი-119; სამეგრელო - ზემო სვანეთი-127; გურია-53; აჭარა-155; სამცხე-ჯავახეთი-358; იმერეთი-124; რაჭა- ლეჩხუმი-132; თბილისი-52.

ზემოთ ჩამოთვლილი პროგრამებიდან ბენეფიციართა ყველაზე დიდი რაოდენობა მოტობლოკებით და ხელის სათესებით უზრუნველყოფისა და მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის პროგრამებს ყავდათ (იხ. დიაგრამა 1). მოტობლოკების პროგრამას სამცხე-ჯავახეთში ჰყავდა ყველაზე მეტი ბენეფიციარი, ხოლო

მეფუტკრეობის პროგრამას - რაჭა-ლეჩხუმში. ჯამში ყველა პროგრამისათვის ბენეფიციარი კოოპერატივების ყველაზე დიდი წონა მოდის სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე (24%), მას მოყვება რაჭა-ლეჩხუმი (17%) და ქვემო ქართლი (12%). დანარჩენი რეგიონების წონა მეტ-ნაკლებად მსგავსია (3%-დან 8%-მდე). აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამები ფარავს ყველა რეგიონს[1].

დიაგრამა 1. მიზნობრივი პროგრამების ბენეფიციარი კოოპერატივების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წყარო: კოოპერატივების განვითარების სააგენტო

რეგისტრირებული კოოპერატივების დაახლოებით 55% წარმოდგენს რომელიმე შესაბამისი სახელწიფო პროგრამის ბენეფიციარს. (დიაგრამა 2) თუმცა რეგიონულ ჭრილში მონაცმების ანალიზისას ჩანს, რომ განსაკუთრებული აქტიურობით გამიორჩეიან კოოპერატივები გურიასა (რეგისტრირებულილ კოოპერატივების 77%) და სამცხე ჯავახეთში (რეგისტრირებული კოოპერატივების 58%). ცალკე აღნიშვნის ღირსია რაჭა-ლეჩხუმი მხარე, სადაც სავარაუდოდო კოოპერეტივების უმეტესობა რამოდენიმე პროგრამის ბენეფიციარია. ყველაზე დაბალი აქტიურობა დაფიქსირდა აჭარაში (19%) და კახეთში (34%). თუმცა, სავარუდოდ მევენეხეობის პროგრამის აქტიურ ფაზაში გადასვლა მნიშვნელოვნად შეცვლის სურათს.

[1] ოკუპირებული ტერიტორიების გარდა

დიაგრამა 2. სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე და მიზნობრივი პროგრამების ბენეფიციარი კოოპერატივების რაოდენობა რეგიონების მიხედვით



წყარო: კოოპერატივების განვითარების სააგენტო

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს მონაცემებს კოოპერატივების (როგორც იურიდიული-სამართლებრივი ფორმის) სხვადასხვა მაჩვენებლის შესახებ. (ცხრილი1) აღნიშნული მონაცემები ცხადყოფენ, რომ კოოპერატივი (მიუხედავად მისი სტატუსისა) განვითარების მაჩვენებლებით არ გამოირჩევა. ერთადერთი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვანი ზრდის ტემპით გამოირჩევა არის დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება.

ცხრილი 1. ინფორმაცია კოოპრატივების მონაცემების შესახებ

	ბრუნვა, მლნ ლარი	დასაქმებულთა რაოდენობა ათასი კაცი	პროდუქციის გამოშვება, მლნ. ლარი	დასაქმებულთა საშუალოთვიური შრომის ანაზღაურება, ლარი
2006	4.1	1.3	3.7	79
2007	1.4	0.5	1.1	66
2008	1.5	0.7	1.6	129
2009	1.1	0.6	1.3	118
2010	0.8	0.2	0.7	103
2011	1.2	0.5	1.1	161

2012	0.7	0.2	0.7	104
2013	2.4	0.1	0.6	161
2014	0.5	0.1	0.5	190
2015	3.0	0.2	3.0	350

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ დამოკიდებულებისა და არსებული სახელმწიფო პროგრამების შეფასება

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიმართ დამოკიდებულებები

კოოპერატივების თანამედროვე კონცეფცია თამამად შეიძლება ითქვას რომ გარკვეულწილად კვლავაც სიახლეს წარმოადგენს სოფლად მცხოვრები ფერმერებისათვის. თუმცა მნიშვნელოვან წინსვლასაც აქვს ადგილი, როგორც დამოკიდებულების ასევე გაწეული საქმიანობების თვალსაზრისით. კოოპერირების იდეა რიგ შემთხვევებში (განსაკუთრებით არა ბენეფიციარი ფერმერებისათვის) კვლავ ასოცირდება საბჭოთა კოლმეურნეობასთან და რთულია ამ სტერეოტიპის დაძლევა, რამდენადაც იგი უკავშირდება ცნობიერების და აზროვნების წესის ცვლილებებს.

კოოპერატივების მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 2013 წელს, როდესაც შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. ამასთან, საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ (რომელიც 2013 წლის 12 ივლისს დამტკიცდა) აწესრიგებს კოოპერატივების ოპერირების და დაკავშირებულ სხვა პროცედურებს. შესაბამისად, 2013 წლიდან შეიქმნა მნიშვნელოვანი ინსტიტუციური ბაზა, რათა ფაქტობრივად მოხდეს კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერატივების განვითარების მიმართებით მრავალი წლის განმავლობაში ძალიან აქტიურად მუშაობს საერთაშორისო სექტორი, რის შედეგადაც მომზადდა ნიადაგი ამ მიმართულებით ქმედითი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისათვის.

განხორციელებული კვლევის შედეგად ნათლად გამოვლინდა, რომ მნიშვნელოვანი ძვრებია კოოპერატივის მიმართ დამოკიდებულებაში და მათ შორის მოტივაციაში შექმნან ასეთი გაერთიანება. თუმცაღა კვლავაც მაღალია ინდეფერენტული ანდა ნეგატიური დამოკიდებულების მატერებელი მოსახლეობის რაოდენობაც.

კოოპერატივის გამოკვლეულ წევრ რესპოდენტთა ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ მათ კოოპერატივი შექმნეს გრანტის მისაღებად ანდა შესაბამის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. შედარებით მცირე ნაწილისათვის კი ძირითადი მამოძრავებელი ძალა ერთობლივი წარმოების შედეგად მიღებული უკეთესი შედეგებია. ასეთი ფერმერები კოოპერატივს მათთვის ბევრად უფრო ტრადიციულ მიდგომას „ნადს[2]“ ადარებენ. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი „უკეთესი განზრახვით“ შექმნილი კოოპერატივები, ძირითადად მცირე ზომის არიან და წარმოადგენენ მცირე სამეზობლოს, სანათესაოს ანდა

[2] ტრადიცია სოფლად, როდესაც მეზობლები ერთმანეთს უსასყიდლოდ ეხმარებიან მოსავლის მოყვანის ან სხვა საქმიანობის გახროციელებაში.

სამეგობროს ფორმალურ გაერთიანებას, რომლებსაც ჰქონდათ ერთობლივად საქმიანობის გაწევის პოზიტიური გამოცდილება.

ხოლო ფერმერთა საკმაოდ დიდი ნაწილი კვლავ ეჭვის თვალით უყურებს კოოპერაციის იდეას და ის კვლავ კოლექტიურ კოლმეურნეობასთან ასოცირდება. ხშირად იგივე არგუმენტებს ასახელებენ ისეთი კოოპერატივის წევრებიც, რომლებსაც სურთ წევრების შემოერთება, მაგრამ სწორედ ამ დამოკიდებულების გამო ვერ ითანხმებენ პოტენციურ წევრებს.

აღნიშნულთან დაკავშირებით პოზიციები ასე გაიყო:

„ძალიან კარგი იდეაა ზოგადად კოოპერატივების შექმნა, რადგან შესაძლებელია უფრო კარგი შედეგის მიღება, ვიდრე როდესაც ცალ-ცალკე გიწევს შრომა, მითუმეტეს იქიდან გამომდინარე რომ კოოპერატივებს ძალიან გვერდში უდგანან გინდ სახელმწიფო იყოს ეს და გინდ არასამთავრობო ორგანიზაციები, აქედან გამომდინარე ბევრი რამის მიღწევა არის შესაძლებელი თუ ადამიანი გონივრულად და ბეჯითად მიყვება ამას.“ (კოოპერატივის წევრი)

„ჩვენთან კოოპერირება ყოველთვის იყო. აი როგორ ხდებოდა ოდითგანვე - რაც უნდა გააკეთო მეზობელს უნდა დაუძახო, რასაც ნადს ვეძახით. ეს ნადი იგივე კოოპერატივია. ერთად წახვალ, ერთად მოიყვან, ერთი ტრანსპორტი გექნება, ოღონდ ამას ვაძლევთ გარკვეულ ფორმას, და ეს თუ ასე იქნება მიწოდებული ყველა გლეხზე უკეთესი იქნება“ (კოოპერატივის წევრი)

„ ჩვენ მეგობრობამ გაგვაერთიანა, ასევე არ დავმალავთ და გრანტის მიღების სურვილმაც, მაგრამ კიდევ რომ დავიმატოთ წევრები რამდენად შევძლებთ ვიყოთ თანამოაზრეები ჯერ არ ვიცით ზუსტად“ (კოოპერატივის წევრი)

„ჩვენი კოოპერატივის შექმნის მიზანი ის იყო რომ გრანტი მოეპოვებინათ, ეს არის ერთადერთი მიზანი. კოოპერატივის შექმნის მიზანია გრანტის მიღების სურვილი სხვებთანაც რაც არ უნდა თქვან. სხვანაირად ისინი ერთმანეთთან არ გაერთიანდებოდნენ, ერთ-ერთი რამ რაც მათ გააერთიანათ იყო ის რომ ამით შესაძლებლობა ჩნდებოდა იმისა რომ ისინი გრანტს მიიღებდნენ, ეს არის რეალობა.“

„გაერთიანების მიზანი იყო, რომ უჭირდათ გლეხებს, ავიღეთ გრანტი. ჩვენი ყველა წევრი ახლა არის გარანტირებული, რომ საქმიანობა და საქონელი შენახული იქნება, მუდმივად გაეყიდებათ .

„სამეგობრო და ერთ აზრზე მყოფნი ვინც ვიყავით ადვილად შევქმენით კოოპერატივი მაგრამ ახლა ვითომ კარგიაო რომ წევრები დავიმატოთ, მაგრამ ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, რადგან მათ გამოვლილი აქვთ ეს

კოლმეურნეობა უჭირთ სხვანაირი რომ არის იმის გაგება, თუმცა ჩვენც გაგვიჭირდება ალბათ ახალ წევრებთან ურთიერთობა“

„კოოპერატივი კარგია იმ გაგებით, რომ ერთად ხდება რესურსების მობილიზება, როგორც ადამიანური ასევე ტექნოლოგიების. მაგრამ კი გვესმის რომ კოოპერატივი უნდა შექმნას 20-მა კაცმა და არა 2-3 კაცი როა გაერთიანებული. კოოპერატივის არსი მაინც არ გვაქვს საბოლოოდ გაცნობიერებული.“

„ ...ჩვეთან გლეხობას ყველას უნდა თავისი ღვინო თავის მარანში დაწუროს, ამიტომ ძნელია ადამიანების გაერთიანება და საერთო ღვინის მიღება. სათქმელად ყველას უნდა გრანტის ან რამეს მისაღებად, მაგრამ საქმისათვის არ ერთიანდებიან“

„კოოპერატივები ნელ-ნელა ვითარდება. უკეთესი მდგომარეობა გვაქვს ვიდრე ეს იყო წინა წლებთან შედარებით. მოსახლეობის დამოკიდებულებაზე შეიძლება ვთქვათ, რომ გარკვეულ ნაწილს კვლავ გონია კოოპერატივი ძველი საბჭოთა მოდელი და მათ შეგნებამდე ჯერ კიდევ ვერ დავიყვანეთ რას გულისხმობს ეს მოდელი. ალბათ, უფრო ახალგაზრდებს უნდა ჰქონდეთ მეტი დაინტერესება კოოპერატივის მიმართ. (ადგილობრივი საკონსულტაციო სამსახური)

კოოპერატივების განვითარების მდგომარეობას დადებითად შევაფასებ , რომელიც თანდათანობით ვითარდება, თავდაპირველად პესიმისტურად იყვნენ განწყობილი რადგან კოლმეურნეობის ასოციაციას იწვევდა, ეს შეხედულება თანდათან იცვლება და მეტი და მეტი ადამიანი გამოთქვამს სურვილს რომ კოოპერატივი ჩამოაყალიბოს. (ადგილობრივი საკონსულტაციო სამსახური)

კოოპერირების მიმართ დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, თუმცა ცალსახად გაჩნდნენ ლიდერები, ვინც გაათვითცნობიერა განვითარების პერსპექტივები და აქტიურად არიან ჩართულები კოოპერატივის საქმიანობებში. შესწავლილი ფერმერების უდიდესი ნაწილისათვის კოოპერატივის შექმნის ძირითადი მამოტივირებელი ძალა გრანტის მიღების განზრახვა იყო. თუმცა, „განზრახვის“ ხასიათის მიუხედავად, მათმა დიდმა ნაწილმა დაინახა სხვა შესაძლებლობებიცა და სირთულეებიც, რაც კოოპერატივის მართვასთანაა დაკავშირებული.

კოოპერატივების შესახებ დამოკიდებულებების შესწავლისას გამოიკვეთა ის ძირითადი დადებითი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც ფერმერების აზრით ახასიათებს კოოპერირებას. სირთულეებიდან ყველაზე ხშირად სახელდება კოოპერატივის მართვა, ახალი წევრების მოზიდვა და „ ბიუროკრატია“.

დადებითი მხარეები	რესურსების გაერთიანება;
	გრანტის/დახმარების მიღების შესაძლებლობა;
	სახელმწიფო პროგრამებზე ხელმისაწვდომობა;
	ხარჯების შემცირება;
	ერთობლივი გაყიდვები;
	გაფართოების შესაძლებლობა;

უარყოფითი მხარეები	რთულია მენეჯმენტი;
	ახალი წევრების მოზიდვა;
	დიდია ბიუროკრატია/ბევრი ფორმები
	ბუღალტერიის სირთულე
	სახლმწიფო პროგრამები არაა გათვლილი კოოპერატივებზეც;
	ძნელია რაიმე გადაწყვეტილების სწრაფად მიღება;
	ასოცირდება საბჭოთა კოლმეურნეობასთან

კოოპერირების მიმართ არაერთგვაროვან დამოკიდებულებას სფეროში მოქმედი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებიც ადასტურებენ. მათი კოოპერატივებთან მუშაობის არაერთწლიანი გამოცდილება ცხადყოფს, რომ დამოკიდებულებები ცალსახად პოზიტიურად შეიცვალა. ასევე, აქვე მნიშვნელოვანია, ის გარემოება, რომ არ უნდა გაჩნდეს მოლოდინი, რომ მთელი სოფლად მცხოვრები მოსახლეობა იქნება კოოპერატივის წევრი და ყველას სათანადოდ ექნება გათვითცნობიერებული რა არის კოოპერირება. მნიშვნელოვანია, რომ ის გაერთიანებები, რომლებიც შედგება, იყოს მდგრადი გრძელვადიან პერიოდში და სათანადოდ იყოს ჩართული შესაბამის ღირებულებათა ჯაჭვში.

„კოლმეურნეობის მემკვიდრეობამ ძალიან მნიშვნელოვნად დააზიანა დამოკიდებულება. ჩვენ საქმე გვაქვს კატეგორიასთან, რომელთაც არავითარი ფერმერული უნარ-ჩვევა არ ჰქონდათ, ჩვეულებრივი დაქირავებული კოლმეურნეობის თანამშრომელი, კოლმეურნეობაში არავისი არაფერი არ იყო, ამით პასუხისმგებლობა და აღქმა იმის რომ ეს შენი ბიზნესია, რომ ეს შენი საკუთრებაა, ამის დაძლევა ეხლა გვიწევს. ეს ბუნებრივიცაა და არც ჩვენ არ გვქონია მოლოდინი რომ ეს ასე ადვილი იქნებოდა. ამ დამოკიდებულებების გაუმჯობესება უფრო მეტად მაინც დამოკიდებულია ეკონომიკურ ფაქტორებზე, თუ ბიზნესი იმუშავებს მაშინ ნდობაც გაიზრდება. „

„რეალურად რომ შევხედოთ, ეს კოოპერატივები დაიწყო წმინდა ქართული მიდგომით. თუ გრანტი მინდა მივიღო მოდი ჩამოვაყალიბებ კოოპერატივს. წელიწადნახევარში 1,600 კოოპერატივის შექმნა სწორედ ამას ასახავს. ნაწილი განვითარდა, ნაწილი ვერ

განვითარდა, ნაწილი პირიქით უკან წავიდა... განვითარებაზე რთულია ვთქვათ, მაგრამ სტაბილურობა ასე თუ ისე შენარჩუნებულია.“

„თავდაპირველად ძალიან სკეპტიკური დამოკიდებულება იყო კოოპერატივის მიმართ, ვინაიდან ყველას წარმოედგინა რომ ეს იყო ძველი კოლხოზის მეურნეობის გაერთიანებები და საინფორმაციო შეხვედრების დროს ძალიან ხშირად გვესმოდა ეს ნეგატიური დამოკიდებულება, თუმცა როდესაც შეიქმნა ის პრეცენდენტი რომ აქტიურად დაიწყო კოოპერატივების დაფუძნება, რეგისტრაცია, აქტიურად ჩაერთვნენ საგრანტო კონკურსში-უფრო მეტი დაინტერესება გაჩნდა საზოგადოებაში კოოპერატივების მიმართ. თუმცა დროის ამ ხანმოკლე მონაკვეთში ვერ ვიტყვი რომ სასწაულები მოხდა, კოოპერატივების განვითარებას წლები სჭირდება, თუნდაც ევროპულ გამოცდილებას რომ გადავხედოთ-100 წელზე მეტი გამოცდილება აქვთ კოოპერატივებს და ასე მოკლე დროში ის შედეგები რაც გვაქვს საკმაოდ კარგია. „

„...შესაბამისად ერთგვაროვანი განწყობა არც არის მაგრამ ეს სრულიად ნორმალურია, ყველა ვერ გადავა კოოპერატივზე და ყველა ვერ გახდება კოოპერატივი, მე ვფიქრობ რომ საქართველოში გარკვეული ნაწილი შეიძლება იყოს კოოპრირების მონაწილე, ეხლა რამდენი პროცენტი იქნება ეს ძნელი სათქმელია მაგრამ ფაქტია რომ ინდივიდუალური ფერმერობა არ გაქრება არცერთ შემთხვევაში, ეს კულტურულ აზროვნებასთანაც არის გარკვეულწილად დაკავშირებული. არის ქვეყნები, სადაც კოოპერაცია ძალიან კარგად არის განვითარებული, არის ქვეყნები სადაც ნაკლებად არის განვითარებული და მე ვფიქრობ რომ ეს არ არის პრობლემა. გარკვეული კრიტიკული მასა უნდა შეიქმნას მთავარია კოოპერატივების, რომელიც გარკვეულ გავლენას მოახდენს საქართველოში პროდუქციის წარმოებაზე და ხარისხის გაუმჯობესებაზე.“

ფერმერთა დამოკიდებულებები და შეფასებები პროგრამების მიმართ

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ფერმერებს ხშირად უჭირთ საერთაშორისო და სახელმწიფო პროგრამების გარჩევა, ამასთან ხშირად ვერ ახდენენ კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა და სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი სხვა სახელმწიფო პროგრამების განსხვავებას. ეს სავარაუდოდ გამოწვეულია იმ ფაქტორით, რომ ყველა მხარის მიერ შეთავსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციას ისინი იღებენ ადგილობრივი საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურებიდან. ხშირად კითხვაზე, თუ როგორ აფასებენ კოოპერატივების ხელშემწყობ სახელმწიფო პროგრამებს, პასუხები ეხებოდა მეტწილად „ენპარდის“ გრანტებს, „აგროკრედიტების“ სახელმწიფო პროგრამას და ა.შ.

რა თქმა უნდა ეს გარემოება, თავისთავად, განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა რიგ შემთხვევებში თუნდაც დამოკიდებულებებისა და სწორი შეფასებებისათვის უკეთესი იქნებოდა თუ ფერმერებს უფრო ნათელი წარმოდგენა ექნებათ რომელი

ინიციატივა, რომელი სააგენტოს მიერ ხორციელდება. ამ თვალსაზრით იკვეთება მნიშვნელოვანი შესაძლებლობაც. ფაქტობრივი მდგომარეობით დანერგილია ერთი სარკმლის პრინციპი ადგილობრივი საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურების სახით, თუმცა დღის წესრიგში უნდა დადგეს აღნიშნული სამსახურების გაძლიერება როგორც ადამიანური რესურსების რაოდენობის, ასევე მიწოდებული სერვისებისა და ინფორმაციის ხარისხის ამაღლების კუთხით.

უშუალოდ სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამების თვალსაზრისით, საკვლევ ზონაში პროგრამის ბენეფიციარი კოოპერატივები წარმოდგენილნი არიან 2 მიმართულებისათვის: მოტობლოკებით უზრუნველყოფა და მეფუტკრეობის ხელშეწყობა.

ორივე პროგრამა როგორც ბენეფიციარების, ასევე არა ბენეფიციარი კოოპერატივების მიერ დადებითად და საჭიროდ ფასდება. განსაკუთრებულად დადებითად აფასებენ რაჭის რეგიონში მოტობლოკების მიმართულებას. სხვა კვლევებიდანაც აქტიურად ჩანდა, რომ მაღალმთიან რეგიონში დიდი მოთხოვნაა ამგვარ ტექნიკაზე, რამდენადაც სავარგულების გეოგრაფიული მდებარეობა და მცირე მოცულობები არ იძლეოდა დიდგაბარიტიანი ტექნიკის გამოყენების შესაძლებლობას. ამასთან, გამოკვლეული ფერმერები, მიიჩნევენ რომ შესაძლოა ანალოგიური მასშტაბით არა, თუმცა მაღალმთიანი რეგიონებისათვის მაინც კარგი იქნება აღნიშნული ტიპის პროგრამა კვლავ განხორციელდეს. ამ დებულებას განსაკუთრებით ისეთი პირები აუღერებდნენ, ვინც ახლახანს შემქნა კოოპერატივი ან აქვთ ასეთი გეგმა.

> *„ეხლა ხვნა ისევ ჭირდება ხალხს და ეს მოტობლოკები არის ძალიან მოთხოვნადი. ჩვენ მუნიციპალიტეტში ძალიან შედეგიანია და ეს არის დადებითი მხარე პროგრამის.“ (ფოკუს-ჯგუფის მონაწილე) ;*

> *„ პროგრამა მოტობლოკების კუთხით, ძალიან გაამართლა ამ პროგრამამ, მაგრამ მერე არ გაგრძელდა, კარგი იქნება თუ გაგრძელდება, რადგან ამ პროგრამაზე მოთხოვნა არის ძალიან მაღალი. რა პროგრამებიც იყო იმათ შორის იყო საუკეთესო, რადგან იყო გათვლილი ამ ხალხზე.“ (ჩარღმავებული ინერვიუს რესპოდენტი ფერმერი)*

რაც შეეხება მეფუტკრეობის ხელშეწყობის პროგრამას, კოოპერატივის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა განსაკუთრებით მნიშვნელოვან და საჭირო ინიციატივად მიიჩნევს. პროგრამაში მონაწილეობა მათთვის განსაკუთრებულ ბარიერებთან არ ყოფილა დაკავშირებული. ერთადერთი შენიშვნა ჰქონდათ სკების ხარისხთან დაკავშირებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკების საკითხთან მიმართებაში სააგენტომ ადექვატური და დროული რეაგირება მოახდინა და შესაბამისად მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული პრობლემა აღმოფხვრილია. ამასთან, სავარაუდოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ გარემოებამაც, რომ მეფუტკრეობა შედარებით განვითარებული დარგია, მათ შორის კოოპერატივების მიმართულებითაც.

„მეფუტკრეობის მხრივ, თითქმის 4000 ფუტკრის ოჯახია ჩვენთან მაგრამ ძველი სკები გვაქვს და ეს პროექტი რომელმაც ხელი შეუწყო ახალი სკების შემოტანას რაიონში ძალიან დიდი დახმარებაა.“

„მეფუტკრეობის წარმომადგენელი ვარ, ჩვენ 1 წელია რაც ჩამოვყალიბდით, ამ დრომდეც ერთიანად ვმუშაობდით. 100 ოჯახით დავრეგისტრირდით და 400 ოჯახზე ავედით. ახალ პროგრამაშიც მივიღეთ მონაწილეობა მივიღეთ სკები. ამ დახმარებას თუ გვიწევენ, გვჭირდება ჭურჭელი, აპარატები, რომლის შეძენა არის ძნელი, ნახევარი რომ მოგვცენ ნახევარს დავამატებდით, ან გრძელვადიანი სესხი რომ მოგვცენ“.

„ძალიან მნიშვნელოვანი, საჭირო და დროული იყო მეფუტკრეებისთვის ეს დახმარება, იმედია კიდევ გაგრძელდება ეს და ანალოგიური პროგრამები კოოპერატივებისათვის“.

სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფენ, რომ მოტობლოკებისა და მეფუტკრეობის მიმართულებებს განსაკურებით დიდი რაოდენობის ბენეფიციარი ჰყავს. შედარებით დაბალი შეფასებები მიიღო მერძევეობისა და მევენახეობის მიმართულებებმა. რესპოდენტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეს პროგრამები არაა მორგებული მათ ადგილობრივ საჭიროებებზე და ვერ ითვალისწინებს გეოგრაფიულ თავისებურებებს. თუმცა აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ მიმართულებებში ჩართული კოოპერატივები ვერ მოხვდნენ კვლევის გეოგრაფიული არეალის შეზღუდვის გამო.

„ეგ პირობა კახეთზე და აღმოსავლეთზეა (საუბარია მევენახეობაზე). ანალოგიურად, გვინდა პროგრამა რომაა ჩაის რეაბილიტაცია მანდ მივიღოთ მონაწილეობა, აქ ვაწყდებით წინააღმდეგობას, საკუთრებაში არანაკლებ 5 ჰექტარი მიწის ფართობი უნდა გქონდეს, რომ 5 ჰა სახელმწიფომ მოგცეს იჯარით. ამ შემთხვევაში ტყიბულის მუნიციპალიტეტში პრივატიზება ჩაის არ მომხდარა, არავის საკუთრებაში არ არის გადაცემული.“

„მევენახეობა კახეთის პირობებზეა მორგებული, და ზოგადად მევენახეობის განვითარებას ჩვენთანაც დიდი პერსპექტივა აქვს (იგულისხმება რაჭა) თუმცა აქ სხვა ფორმის და პირობების პროგრამა უნდა გაკეთდეს“.

ზოგადად, ასეთი პროგრამები რომ საჭიროა და ხელს უწყობს კოოპერატივების განვითარებას, ყველა თანხმდება ფერმერებიც, არასამთავრებო ორგანიზაციებიცა და საჯარო სექტორიც.

ამასთან, კვლევის შედეგად გამოვლინდა რომ ასეთი პროგრამები წარმოადგენენ მასტიმულირებელ ძალას ადგილობრივი ფერმერებისათვის შექმნან კოოპერატივი, ისევე როგორც საერთაშორისო პროგრამების საგრანტო კომპონენტები. შესაძლოა ასეთი სარგებლის მიღების მიზნით გაერთიანება არ იყოს საუკეთესო მეთოდი კოოპერირების ხელშეწყობისათვის, თუმცა განვითარების მიმდინარე ეტაპზე ასეთი შედეგებიც საკმაოდ

მნიშვნელოვანია. კვლევის პროცესში გამოიკვეთა რიგი შემთხვევებისა, როდესაც პროგრამის დამსახურებით მოხდა არაფორმალური გაერთიანებების კოოპერატივებად რეგისტრაცია.

> *„ისედაც ერთად ვშრომობდით, ბოლო 3-4 წლის განმავლობაში დღეს ვინც ერთად ვართ და მერე კიდევ ვიღაცეები შემოგვიერთდნენ, ხოლო ასე ოფიციალურად დარეგისტრირების სურვილი გაგვიჩნდა მაშინ, როდესაც დაიწყო ეს პროგრამა, რათა მიგვეღო დამატებითი სარგებელი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ჩვენ ამის გაკეთებას მაინც ვაპირებდით, მაგრამ ეს ალბათ მოხდებოდა 5-6 წლის შემდეგ".*

კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საქმიანობას დადებითად აფასებენ საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგნლებიც. მათი აზრით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სააგენტოს, როგორც ინსტიტუტის არსებობას და ახლა დღის წესრიგში უნდა დადგეს მისი გაძლიერება, მანდატის გაფართოება და შესაძლებლობების გაძლიერება, რათა განახორციელოს სხვადასხვა პროგრამა და ინიციატივა, მათ შორის კოოპერატივების წევრთა მუდმივი გადამზადების პროგრამების სახით.

> *„ძირითადი პატრონი კოოპერატივების არის სააგენტო და მართლაც ძალიან ბევრ რამეს აკეთებს, სააგენტოც ახალია და ისიც ეხლა დგამს ნაბიჯებს, იმდენი პროგრამები განხორციელდა განსაკუთრებით მეფუტკრეების დახმარება, სკების და ციბრუტების დარიგება, ასევე გაყავთ სხვადასხვა ქვეყანაში და აჩვენებენ გამოცდილების გაზიარების მიზნით, ეხლა კიდევ მეღვინეობის პროგრამა დაიწყება, ასევე სააგენტომ ჩაატარა ძალიან მნიშვნელოვანი და კარგი ტრენინგები მუდმივად აწვდიან ისინი კოოპერატივებს ინფორმაციას კანონის ცვლილებებთან დაკავშირებით თუ ეს ხდება ასევე მათი ლობირებით მოხდა ცვლილებები კანონში. (არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი)*

> „რეალურად ჩვენ გვაქვს ინსტიტუტი კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სხვათაშორის საკმაოდ მწიფე ინსტიტუტია, ძალიან მონდომებული გუნდია. ძალიან კარგი და მონდომებული ლიდერი ყავს, და მას ყავს 30 კაციანი გუნდი. მაგრამ, შენ თუ მთელ საქართველოს ფარავ ეს არ არის საკმარისი."

მიმდინარე ეტაპზე სააგენტოს მიერ გახორციელებული პროგრამები შეიძლება შეფასდეს, როგორც კარგი დასაწყისი, თუმცა მნიშვნელოვანია, გახორციელდეს პროგრამების კონკრეტულ ინდიკატორებზე დაფუძნებული გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარება, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც არარსებული გამოწვევები, ასევე განისაზღვრება სტრატეგიული მიზნები.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ფერმერების პოზიციები, თუ რა ტიპის მხარდამჭერ პროგრამებზე აქვთ მოთხოვნა და რა არის მათი ხედვა არსებული პროგრამების გაუმჯობესების კუთხით.

რესპოდენტების მხრიდან ყველაზე ხშირად დასახელებული საკითხები იყო: რეგიონული თავისებურებების გათვალისწინება; სხვა დარგებისათვის ანალოგიური პროგრამების ამოქმედება (ძირითადად მემცენარეობის მიმართულებით) და მხარდაჭერა ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით. დარგში ჩართული ექსპერტებისაგან კი გაჟღერდა მოსაზრება, რომ კოოპერატივების განვითარებისათვის აუცილებელია ღირებულებათა ჯაჭვის გაძლიერების ხელშეწყობა კოოპერატივების ჩართულობის გზით. ასევე ადგილობრივი საკონსულტაციო ცენტრებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, მიიჩნევენ, რომ ეფექტიანი იქნებოდა პროგრამების დაგეგმვის პროცესში მოხდეს მათი აქტიური ჩართულობა, რაც უზრუნველყოფდა ყველა იმ საჭიროების გათვალისიწინებას, რომლებიც ამა თუ იმ რეგიონისათვის ანდა დარგისთვისაა დამახასიათებელი.

> *„ჩემი აზრით აუცილებელია პროგრამების შემუშავების დროს გათვალისწინებული იყოს რეგიონალური თავისებურებები. ჩვენი ქვეყანა ძალიან პატარაა, მაგრამ კახეთი, იმერეთი, აჭარა და სამეგრელო ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან, ამიტომ როდესაც პროექტია და ეს არის გათვალისწინებული მთელი ქვეყნისთვის, რათქმაუნდა ეს ყველა რეგიონს ვერ ერგება.“ (საკონსულტაციო)*
>
> *„მემცენარეობის მიმართულებაზეც უნდა გაკეთეს პროგრამები და მე ვფიქრობ ჩაის მიმართულებით თუ კი იქნება დახმარება კოოპერატივების შექმნის კუთხით კარგი იქნება. ასევე, თხილის პლანტაციების მხრივ არის დიდი დაინტერესება.“*
>
> *„მე ვფიქრობ, რომ უნდა მოხდეს სანამ ეს პროგრამები შემუშავდება შეხვედრები ბენეფიციარებთან და მათთან ერთად უნდა მოხდეს საკითხების განხილვა თუ რა იქნება და როგორ იქნება კარგი იმ რეგიონისთვის, რათა განვითარდეს სოფლის მეურნეობა. ჩემი აზრით, იმ ხალხმა უფრო კარგად იცის მდგომარეობა, ან კიდევ ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად მოხდეს ამის განხილვა, მათაც უკეთ იციან რაიონში თუ ვინ რას წარმოადგენს და რისი გაკეთება შეუძლია. ეს საჭიროა იმისათვის რომ ის პროგრამა ქაღალდზე არ დარჩეს და იმ პროგრამით ისარგებლოს მოსახლეობამ.“*
>
> *„ჩემი აზრით, საჭიროა თითოეული ღირებულებათა ჯაჭვის გამოკვლევა საფუძვლიანად და სწორედ იმ სექტორების თუ ღირებულებათა ჯაჭვის იმ რგოლების პოვნა, სადაც კოოპერაცია იქნებოდა წარმატებული.“*

კვლევის ფარგლებში განსაზღვრული იყო კოოპერატივების მხრიდან თანადაფინანსების მზაობის საკითხის შესწავლა. შედეგებმა ცხადყო, რომ ყველა კოოპერატივი მზადაა შესაბამისი პროგრამების განხორციელების შემთხვევაში გაწიონ თანადაფინანსება. საგულისხმოა, რომ ის კოოპერატივები, რომლებსაც მიღებული აქვთ საგრანტო

დაფინანსება საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, მზად არიან საშუალოდ 20-25%-იან თანამონაწილეობაზე, ასევე რამდენიმე შედარებით დიდი კოოპერატივისაგან დასახელებულ იქნა 50% თანადაფინანსების შესაძლებლობაც. კვლევაში ასევე მონაწილეობდნენ ისეთი რესპოდენტებიც, ვისაც არ ჰქონდა მანამდე საგრანტო გამოცდილება. თანადაფინანსების მზაობა მათაც გამოთქვეს თუმცა მხოლოდ 10-15%-ის ფარგლებში. შესაბამისად, გამოიკვეთა, რომ: (1) საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებულმა პროგრამებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოახდინეს ცნობიერების და დამოკიდებულებების დონეზე და ფაქტობრივად მოამზადეს ფერმერები თანადაფინანსების საკითხებში, გაათვითცნობიერეს რა მისი როლი და მნიშვნელობა. (2). ზოგადად ფერმერები, მათ შორის კოოპერატივის წევრები, ათვითცნობიერებენ, რომ მათაც უნდა გაწიონ ძალისხმევა, მათ შორის ფინანსური, ეკონომიკური საქმიანობის განვითარებისათვის .

კოოპერატივების განვითარების არსებული დონე - მიღწევები და პრობლემები

კოოპერატივების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამების ცალკეულად შეფასება ფერმერთა პოზიციებიდან პრაქტიკულად ძალიან რთულია, რამდენადაც მათ ძალიან უჭირთ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სახელმწიფო სექტორის მიერ განხორციელებული პროგრამების გამიჯვნა. თუმცა, კოოპერატივების წინაშე მდგარი გამოწვევების შეფასებისა და საჭიროებების იდენტიფიკაციისათვის (იხ. სქემა #1) ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. ამასთან, ცხადია, რომ საერთაშორისო და სახელმწიფო სექტორების თანამშრომლობის ხარისხი შეიძლება ითქვას სამაგალითოა კოოპერატივების ხელშეწყობის კუთხით.

გამოკვლეული ფერმერებისა და დაინტერესებული მხარეების აზრით, კოოპერატივების განვითარების თვალსაზრით ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევებად სახელდება ადგილობრივი ფერმერების გაზრდილი მოტივაცია და მნიშვნელოვანი ცვლილება მათ ცნობიერებასა და დამოკიდებულებებში. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ გრძელი გზის დასაწყისია და წინ მნიშვნელოვანი გამოწვევებია. თუმცა, ცნობიერების ცვლილებაზე ასევე მიუთითებს ის გარემოება, რომ ფერმერები საჭიროდ მიიჩნევენ მხარდაჭერას უნარების ზრდისა და მენეჯმენტის უნარების გაუმჯობესების კუთხით.

სქემა #1. კოოპერატივების განვითარების არსებული მდგომარეობის შეფასება - მიღწევები და პრობლემები

მიღწევა

- გაიზარდა ინტერესი და შეიცვალა დამოკიდებულება კოოპერატივების მიმართ;
- კონკრეტული დარგების განვითარება (განსაკუთრებით მეფუტკრეობის);
- რესურსების მობილიზება და მეტი სარგებლის მიღების შესაძლებლობა;
- ტექნიკურად აღჭურვილი კოოპერატივები;
- ს/მ კოოპერატივების, როგორც დარგის განვითარება;
- საკანონმდებლო ბაზისა და სააგენტოს არსებობა;
- კოოპერატივები გახდა პრიორიტეტი სახელმწიფო პოლიტიკის თვალსაზრისით.

პრობლემა

- დაბალი ხელმისაწვდომობა ფინანსურ რესურსებზე (ბანკები, სხვა სახელმწიფო პროგრამები, მათ შორის "აგროკრედიტი");
- რთულად აღსაქმელი საკანონმდებლო ბაზა;
- ბაზარზე ხელმისაწვდომობა/დაბალი მარკეტინგული ცოდნა და უნარები
- კოოპერატივის მენეჯმენტთან დაკავშირებული სირთულეები, განსაკუთრებით პროცედურული და ბიუროკრატიული საკითხები;
- ახალი წევრების მოზიდვა;
- დაბალი ხელმისაწვდომობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე;
- მცირემიწიანობა და მიწის რეგისტრაციასთან/ სახელმწიფოსგან იჯარით აღებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ცონდისა და უნარების არასაკმარისო დონე (განსაკუთრებით პროცედურული და მარკეტინგული)
- ახალგაზრდობის ჩართულობის და ინტერესის დაბალი დონე

ფერმერთა დიდი ნაწილი, ასევე მიიჩნევს, რომ თვითონ ის ფაქტი, რომ უკვე საკმაოდ დიდია შემდგარი კოოპერატივების რაოდენობა, რომლებიც სათანადოდაა აღჭურვილი, უკვე თავისთავად მიღწევაა და წარმოადგენს კარგ მაგალითს სხვების მოტივაციისათვის. საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე საკონსულტაციო ცენტრების წარმომადგნელებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ინსტიტუტების არსებობაა, კანონმდებლობისა და სააგენტოს სახით. მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ კანონის შეფასება კვლევის ამოცანას არ წარმოადგენს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დღის წესრიგში უნდა დადგეს მისი დახვეწისა და გაუმჯობესების საკითხიც უკვე დაგროვილი პრაქტიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით. მათ შორის გამოიკვეთა: წესდებაში ცვლილების შეტანის საკითხი, კოოპერატივის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი აღდგენის პროცედურები (რაც საერთოდ არ რეგულირდება) და ა.შ.

„ჩემი აზრით, კანონმდებლობას რაც შეეხება, ამ ეტაპზე საჭიროა რაღაცეების გამარტივება. მაგალითად, როცა კოოპერატივში არის 20-30 წევრი და საჭიროა წესდებაში ცვლილების შეტანა და საჯარო რეესტრში უნდა მიიყვანო ეს 20-30 კაცი, ისეთ ცვლილებაზეა საუბარი სადაც საჭიროა ნოტარიულად დამოწმება."(ფოკუს-ჯგუფის მონაწილე)

„კანონით არ რეგულირდება რა ხდება იმ შემთხვევაში თუ კოოპერატივს შეუწყდა სტატუსი, მაგრამ მაგალითად 3 თვის მერე ისევ გადაწყვიტა საქმიანობის აღდგენა. გამოდის რომ უბრალოდ თავიდან იწყებს რეგისტრაციის პროცედურებს. აქ ჩნდება კითხვის ნიშანი, თუ სტატუსის შეწყვეტის საფუძველი მნიშვნელოვანი დარღვევა იყო, მაშინ არ უნდა ჰქონდეს სტატუსის ხელახალი მინიჭების შესაძლებლობა. ხოლო თუ ადგილი აქვს ხარვეზებს, მაშინ მას კი არ უნდა შეუწყდეს არამედ შეუჩერდეს სტატუსი ხარვეზების გამოსწორებამდე". (ჩაღმავებული ინტერვიუს რესპოდენტი.)

რაც შეეხება დასახელებულ პრობლემებს, მათი ნაწილი ცდება ს/მ კოოპერატივების განვითარების სააგენტოს კომპეტენციებს, თუმცა მნიშვნელოვანი იქნება თუ მოხდება აღნიშნული საკითხების განხილვა და სათანადო ღონისძიებების დაგეგმვა. **განსაკურებით ხშირად ფერმერთა მხრიდან დადგა კანონმდებლობის აღქმის და საჭირო პროცედურებს სათანადოდ გატარების სირთულეები.** ამასთან დაკავშირებით, ისინი აღნიშნავენ, რომ ზოგადად პრობლემაა „ქაღალდთან მუშაობა", რისი არც ცოდნა და არც გამოცდილება ფერმერს არ გააჩნია.

„ თავიდან მარტივი გვეგონა რომ ასე უცებ შევქმნიდით, მაგრამ მერე კი აღმოჩნდა რთული, უამრავი ფორმები, კანონი, ბუღალტერია, მენეჯმენტი, ნელ-ნელა ჩვენც ვსწავლობთ, მაგრამ არც ისე მარტივია" .

„ეს კანონები და ნორმები არის იურისტების დაწერილი და ისე უნდა იყოს რომ გლეხმაც გაიგოს რამე".

„ჩვენ ვიცით მიწაზე მუშაობა, „ქაღალდთან" მუშაობა- არა. დახმარებაა საჭირო, ან შეგვიმცირონ ეს ქაღალდები ან გვასწავლონ".

„რაღაცნაირად გაამარტივონ ეს კანონი, რომ ჩვეულებრივი გლეხისთვის მარტივი გასაგები იყოს და გადმოთარგმნა არ ჭირდებოდეს."

„ზოგადად გლეხობა გადაჩვეულია დოკუმენტაციასთან მუშაობას. ზოგადად მართვასთან დაკავშირებით გამოცდილება შეზღუდულია. ამას კიდევ დრო სჭირდება, რომ საკმარისი უნარ-ჩვევები გამომუშავდეს. ეს მხოლოდ სწავლებით არ ხდება. მეორე მომენტი არის ნდობის ფაქტორი კოოპერატორებს შორის."

საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ გამონაკლისის გარეშე ყველა ფერმერი შეეხო **კანონმდებლობის აღქმისა და ბიუროკრატიის სირთულეს.** შესაბამისად, მნიშვნელოვან წვლილის შეიტანდა კოოპერატივის პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნა, რომლიც ერთის მხრივ ასახავდა როგორც კანონმდებლობის განმარტებას და საჭირო ფორმების შევსების ინსტრუქციებს, ასევე მისცემდა პრაქტიკულ რჩევებს მენეჯმენტისა და ოპერირების კუთხითაც.

აღნიშნულთან დაკავშირებულია **აღრიცხვიანობის პრობლემაც.** საუბარია არა უშუალოდ ბუღალტრულ აღრიცხვაზე, არამედ სხვადასხვა მართვასთან დაკავშირებული პროცესების დოკუმენტირებაზე. *„ძალიან დიდი პრობლემაა აღრიცხვიანობა, არ ზის ეს გლეხის კულტურაში. მას არასდროს არ აღურიცხავს და ჩანაწერი არ გაუკეთებია. და ეხლა ჩვენ ვითხოვთ რომ გააკეთოს ჩანაწერები რომელ დღეს რამდენი გრამი პესტიციდი რომელ ნაკვეთში გამოიყენა და რომელ საათზე და ა.შ.“ (საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლი) „ჩვენ მონიტორინგიდან მოგვივიდა ჩამონათვალი რა საბუღალტრო დოკუმენტებს უნდა აკმაყოფილებდეს კოოპერატივი. იქ ისეთი ჩამონათვალია, კოოპერატივები კიარა სერიოზული ბუღალტრები რომ არიან მაგათაც უჭირთ გარკვევა.“ (კოოპერატივის წარმომადგენელი).*

ახალი წევრების მოზიდვის სირთულე არა ერთ გზის დასახელდა კოოპერატივების წარმომადგენელების მიერ. ამ საკითხს მეტწილად სავარაუდოდ ის ფატი განაპირობებს, რომ ფაქტობრივად კოოპერატივების უმეტესობა ეფუძნება მეგობრობას, მეზობლობას და პირად ნაცნობობას. *„წევრების მოზიდვა ძალიან რთულია, რადგან ყველას თავისი აზრი გააჩნია და ძნელია ამდენი ადამიანი ერთ აზრზე მოიყვანო“.* - განაცხადა ფოკუს ჯგუფის მონაწილემ. *„კოოპერატივი მისაღები და მოსაწონია იმ ადამიანებისთვის რომლებიც ამ კოოპერატივის წევრები არიან, დებულების მიხედვით მათ აქვთ ხმის და გადაწყვეტილების მიღების თანაბარი უფლება, ასევე მინდა აღვნიშნო როგორც ზოგადად საქართველოში, ასევე ჩვენს მუნიციპალიტეტში კოოპერატივებში გაწევრიანება ძნელად მიმდინარეობს (ადგილობრივი საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენელი).*

კიდევ ერთი საკითხი, **რასაც აქტიურად აყენებენ დღის წესრიგში ეს არის ტრენინგები და უნარების ზრდის აქტივობები.** თვითონ ეს ფაქტიც თამამად შეიძლება მიღწევად ჩაითვალოს. უნარების ზრდის გრძელვადიანი პროგრამის აუცილებლობაზე საუბრობენ სხვა დაინტერესებული მხარეებიც. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოთხოვნა საკმაოდ მრავალფეროვან მიმართულებებზეა, თუმცა განსაკუთრებული სიხშირით დასახელდა შემდეგი საკითხები:

- ✓ ბუღალტერია და ფინანსები;
- ✓ სამართლებრივი საკითხები;
- ✓ კოოპერატივის მენეჯმენტი;
- ✓ დოკუმენტაციის წარმოება;
- ✓ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება (დარგების შესაბამისად)
- ✓ მარკეტინგული საკითხები;

- ✓ ბიზნეს-გეგმის მომზადება;
- ✓ დარგობრივი ტრენინგები (მაგ. კენკრის მოყვანა; მერძევეობა; ჩაი, თხილი და ა.შ)

საგულისხმოა, რომ კოოპერატივის წარმომადგენელთა ნაწილმა ხშირად დაასახელეს ტრენინგები მარკეტინგისა და მენეჯმენტის მიმართულებით. მათ უკვე დაინახეს რა რომ გაყიდვები და ბაზართან წვდომა არის წარმატების ამოსავალი წერტილი, შესაბამისად ჩამოყალიბდა მოთხოვნა უნარების ზრდის მიმართულებითაც.

უნარების ზრდის თვალსაზრით, რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა მეტად პრაქტიკული ხასიათის კურსების შემუშავება, რომლებიც უშუალოდ მათ დარგზე და მათ კოოპერატივზე იქნება მორგებული. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს სასწავლო პროგრამების შემუშავება, რომლებიც დაინტერესებულ პირებს მისცემს შესაძლებლობას მიიღოს ახალი ცოდნა და უნარები პერიოდულად და არა ერთჯერადი მცირე სალექციო კურსის სახით.

ბაზარზე წვდომა/გაყიდვები კოოპერატივების აქტუალური პრობლემაა. ამ მიმართულებით უკვე წარმატების მაგალითები გაგვიზიარეს მეფუტკრეობის დარგში მოქმედმა კოოპერატივებმა.

> *„ხელშეწყობასთან დაკავშირებით მინდა ერთი რამ ვთქვა, რომ კოოპერატივებს სჭირდებათ კიდევ უფრო მეტი გამოფენა-გაყიდვა მოხდეს, რათა მოხდეს ამ ადამიანების პროდუქციის პოპულარიზაცია.“*

> *„ძირითადად ჩვენი თაფლი ეხლა მასეთ პიროვნებებს მიაქვთ, გავიცანით გამოფენებზე და მოეწონათ და აქედან გამომდინარე მოხდა ჩვენი თაფლის რეალიზაცია. აზერბაიჯანშიც გადის ჩვენი თაფლი.“*

შესაბამისად, კარგი იქნება თუ ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაშლის საქმიანობას სააგენტო და ამ გზით ხელს შეუწყობს კოოპერატივებს გაყიდვების უკეთ ორგანიზებაში.

კოოპერატივების საკითხზე მომუშავე რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლი მიიჩნევს, რომ კოოპერატივების გაყიდვების ხელშეწყობისათვის **აუცილებელია პროდუქციის ბრენდირება და პოპულარიზაციაში ხელშეწყობა.**

„უნდა მიექცეს ყურადღება ბრენდული პროდუქტის პოტენციალს, თუ მევენახეობაზე გვაქვს საუბარი დიდი პოტენციალი აქვს ქვევრის ღვინოს. თუ მთის პროდუქტზე ვსაუბრობთ, უამრავი პროდუქტი იკვეთება რაჭული ლორი, თუშური გუდა, სვანური სულგუნი, ხევსურული კარტოფილი, თიანეთის კარტოფილი. ერთ თარგზე კი არ უნდა გამოჭრან მთელი ქვეყანა, არამედ მივუდგეთ ზონების მიხედვით. ჩვენი ქვეყანა არის საკმაოდ მრავალფეროვანი, არ არის ჰომოგენური, არც კლიმატით არც საწარმოო მიმართულებებით. მიდგომა უნდა იყოს დივერსიფიცირებული და დაფუძნებული პოტენციალზე რომელიც საკმაოდ მრავალფეროვანია“ (საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ინფორმაციით ს/მ კოოპერატივების განვითარების სააგენტო აქტიურად მუშაობს ბრენდირების მიმართულებით და საკითხი განხილვის პროცესშია.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა არის არა მხოლოდ კოოპერატივების, არამედ ზოგადად სოფლის მეურნეობაში ჩართული ფერმერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი. ამასთან, თუ აგროკრედიტების სახელმწიფო პროექტმა გააჩინა გარკვეული შესაძლებლობები ფერმერული მეურნეობებისათვის, ეს პროგრამა ფაქტობრივად არაა ხელმისაწვდომი კოოპერატივებისათვის. გარდა ამისა, კვლევის პროცესში გამოვლინდა ერთეული კოოპერატივები, რომლებიც მზად იყვნენ ჩვეულებრივი ბიზნეს-სესხი აეღოთ ბანკიდან, თუმცა ეს მათ ვერ მოახერხეს. გამოსავალი ნახეს ინდივიდუალურად სესხის აღებით. ანალოგიური მდგომარეობაა აწარმოე საქართველოს ფარგლებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროექტის მიმართულებითაც, სადაც შესაძლებელია მცირე გრანტების მიღება, თუმცა ინდ.მეწარმერმეებისათვის (რომლებიც შემდეგ ერთიანდებიან ამხანაგობაში, 1-ზე მეტი აპლიკანტის შემთხვევაში). შესაბამისად, აღნიშნული პროგრამაც გარკვეულწილად არის ირიბი გზა კოოპერატივის წევრებისათვის მოიზიდონ დამატებითი ფინანსები, თუმცა არ იძლევა კოოპერატივების, როგორც მიმართულების გაძლიერების შესაძლებლობას.

> *„ საბანკო სექტორი ჯერჯერობით არ არის მზად ამისთვის და არც კოოპერატივები არ არიან მზად. ამიტომ ეს სივრცე უნდა შეივსოს სახელმწიფოს ან დონორის ძალისხმევით.“*

> *„ფინანსებზე ხელმისაწვდომობა არის ჩვენი მთავრი პრობლემა, უნდა იყოს აუცილებლად რაიმე აგრო კრედიტების მსგავსი, ოღონდ კოოპერატივებისათვის, რათა ჩვენც შევძლოთ დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი სესხის მიღება“*

> *„ჩვენ გვინდოდა სესხის აღება ბანკიდან, მაგრამ უკან დიდი უარით გამოგვისტუმრეს. არ განუხილავთ საკითხი ისე, მერე მართალია ერთ-ერთმა ჩვენმა წევრმა ინდივიდუალური სესხი გააკეთა, მაგრამ ის ხომ უკვე სხვა რამეა“*

> *„საჭირო ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, რასაც აუცილებლად თან უნდა ახლდეს მეტი ცოდნის მიღება.“*

ცხადია, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, მათ შორის აქტუალურია თანხები საბრუნავი საშუალებებისათვის, დაკავშირებულია საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსებთან და სათანადო ადმინისტრირებასთან. თუმცა, ფაქტია, რომ ამ მიმართულებით განხილვის ღირსია როგორც მცირე გრანტების ასევე შეღავათიანი კრედიტების შესაძლებლობის ვერსიები, რომლებიც უშუალოდ კოოპერატივებისათვის იქნება გამიზნული.

კოოპერატივების მხარდამჭერი პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა ფერმერების, მათ შორის კოოპერატივის წევრების, ასევე დარგში ჩართული სხვადასხვა მხარეების მოსაზრებები თუ რა შეიძლება იყოს ასეთი პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები.

ფერმერთა პოზიციებით, ამგვარ პროგრამებს რისკები ნაკლებად აქვს, და მათთვის ძირითად რისკ ფაქტორებს ზოგადად სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელი შემთხვევები წარმოადგენენ:

- ✓ ბუნებრივი კატასტროფები (ძირითადად გვალვა, ქარი, სეტყვა);
- ✓ დაბალი ფასები სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე;
- ✓ ფალსიფიცირებული შხამ-ქიმიკატები;
- ✓ ფალსიფიცირებული პროდუქცია (განსაკუთრებით თაფლის შემთხვევაში);

ხოლო, დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებულ ინტერვიუებში გამოიკვეთა რიგი მნიშვნელოვანი და საგულისხმო საკითხი, რომელთა ნაწილის პრევენცია/ შერბილება შესაძლებელია სათანადო ღონისძიებების გატარების შემთხვევებში, ნაწილი კი შეიძლება ითქვას ამგვარი პროცესების ბუნებრივი თანმდევი პროცესია:

- ✓ **მაღალი ალბათობით პროგრამების ბენეფიციართა დიდი ნაწილი ვერ განვითარდება სათანადოდ. ასეთი პროგნოზების მიზეზები კომპლექსურია: 1. არსებული კოოპერატივების უმეტესობა „საოჯახოა"; 2. უმეტესი კოოპერატივებისა შეიქმნა დაფინანსების მიღების მიზნით; 3. კვლავ დაბალია ნდობა კოოპერატივის იდეის მიმართ, ასევე ნდობის საკითხი დგება ახალი წევრების მოზიდვის კუთხითაც.** *„ნდობის საკითხი კოოპერატივის წევრებს შორის აქტუალურია. საქართველოში დარეგისტრირებული კოოპერატივების უმეტესობა შეიძლება ითქვას, "საოჯახო კოოპერატივები არიან". ძალიან რთულია ენდო სხვა პიროვნებას, რომელიც არ არის შენი ოჯახის წევრი." „დაბალია კოოპერირების ჭეშმარიტი იდეით აღტყინებული ადამიანების რაოდენობა".*
- ✓ **შესაძლოა გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ნაწილი კოოპერატივებისა, განსაკუთრებით ის, სადაც ხშირად ფორმალურად ყავთ წევრები გაფორმებული გადაკეთდნენ სხვა იურიდიულ პირებად, მაგალითად „შპს".** ასეთ შემთხვევაში მართალია, თუ ის ეკონომიკურ საქმიანობას განაგრძობს ჯამში სოფლის მეურნეობის განვითარებაში მაინც შეიტანს წვლილს, თუმცა როგორც პროგრამების გახორციელების შედეგი, მოხდეს კოოპერატივების გაძლიერება განვითარება, ვერ დადგება.
- ✓ **წვდომა ბაზარზე.** პროგრამები ითვალისწინებს კოოპერატივების აღჭურვას, დახმარებას წარმოების პროცესში, თუმცა თუ მათ ვერ მოახერხეს პროდუქციის გაყიდვები, პროგრამებზე დახარჯული ფული ამაო იქნება. ცხადია, სახელმწიფომ ვერ და არ უნდა უზრუნველყოს გაყიდვები, თუმცა მნიშვნელოვანი იქნება

კონკრეტული დამატებითი ღონისძიებების გატარება, როგორებიცაა გამოფენები, ბრენდირება, უნარების ზრდა და ა.შ.

- ✓ **პასუხიმგებლობის შემცირება და გაზარმაცება.** დაინტერესებული მხარეები თანხმდებიან იმ მოსაზრებაზე, რომ მხარდამჭერი მრავალფეროვანი პროგრამების გარეშე ძალიან გაუჭირდებათ ან თითქმის ვერ მოახერხებენ კოოპერატივები განვითარებას, თუმცა იმავდროულად იკვეთება რისკი, რომ ფერმერი, კოოპერატივის წევრი უკვე ეჩვევა, რომ „სხვამ“ უნდა მოუგვაროს ფინანსების საკითხი, ასწავლოს მენეჯმენტი, მისცეს ტექნიკა, გაუყიდოს პროდუქტი და ა.შ. ამ კუთხით ყველაზე ეფექტიან ინსტრუმენტად მაინც თანადაფინანსების კომპონენტი მოიაზრება.

ინფორმაციის მოძრაობის არხები

კოოპერატივების მიმართ დამოკიდებულება და ფერმერების დაინტერესების საკითხი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მათ ინფორმირებულობის დონესა და იმ ძალისხმევაზე, რომლიც იქნა გაწეული კოოპერირების იდეის გავრცელების კუთხით. ბუნებრივია ერთი ან ორი საინფორმაციო კამპანიის შედეგად ვერ მოხდება ცნობიერების ცვლილება, თუმცა კარგად გამართული კომუნიკაციების სისტემებს ნამდვილად დიდი როლის შესრულება შეუძლია.

როგორც კვლევიდან ჩანს, კოოპერატივებისათვის ინფორმაციის ძირითად წყაროს ადგილობრივი საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურები წარმოადგენენ. მათგან ისინი ღებულობენ ინფორმაციას, როგორც კოოპერატივების სააგენტოს პროგრამების ასევე სხვა სახელმწიფო თუ საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ (სქემა #2). ხშირია შემთხვევები, როდესაც ისინი ვერ მიჯნავენ კოოპერატივების განვითარების სააგენტოს და საკონსულტაციო ცენტრებს. მართალია, ორივე სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან დაკავშირებულ სტრუქტურებს წარმოდგენენ, მაგრამ კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს კოოპერატივების სააგენტოს სწორი აღქმა. რამდენადაც საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურები წარმოდგენენ ინფორმაციის მიღების ძირითად საშუალებას, განსაკუთრებულად აქტუალურია **ადგილობრივ საკონსულტაციო საინფორმაციო სამსახურებში შესაბამისი პერსონალის მუდმივი გადამზადება და მათი სათანადო ცოდნითა და ინფორმაციით აღჭურვა.**

სქემა #2. ინფორმაციის გავრცელების არხები



კვლევის შედეგებიდან ჩანს, რომ ინფორმაციას ძირითადად კოოპერატივის წარმოდგენელები იღებენ (იხ. სქემა 3) ჯგუფური შეხვედრებით, ბულკეტებით, პრესისა და ტელევიზიის საშუალებით. ნაწილი, ვისთვისაც ხელმისაწვდომია ინტერნეტი, ინფორმაციის მიღებას ამ გზით ამჯობინებს. მათი მართალია მცირე ნაწილი, მაგრამ მაინც პერიოდულად სტუმრობს კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდს. ორი კოოპერატივის წარმომადგენელმა ისიც კი განაცხადა, რომ მათ ყავთ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი, რომელიც პერიოდულად შედის ამ ვებ-გვერდზე და ასევე სხვა პროგრამებსაც აკვირდებიან. მათთვის განსაკუთრებით მოსახერხებელი და მისაღებია მოკლე-ტექსტური შეტყობინებები, თუმცა ყველა რესპოდენტისათვის მაინც პირადი შეხვედრებით კომუნიკაციაა ოპტიმალური ფორმა.

კოოპერატივების ხელშემწყობ პროგრამებთან დაკავშირებული საინფორმაციო კამპანია შეიძლება არ იყო ყოვლისმომცველი, თუმცა ფაქტია, რომ ბევრი სხვა ანალოგიური პროგრამისგან განსხვავებით პოტენციურ ბენეფიციარებს არ გასჩენიათ ცრუ მოლოდინები, რაც შესაბამისად აისახა კიდევაც როგორც სააგენტოს, ასევე მის მიერ განხორცილებული ინიციატივების მიმართ დამოკიდებულებებშიც. ფაქტობრივად, ნეგატიური შეფასება სააგენტოს ანდა მის პროგრამებს არ მიუღიათ.

სქემა #3. კოოპერატივებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძრაობის არსებული და სასურველი საშუალებები (ყველაზე ხშირად დასახელებული, რიგითობა დაცულია)



ფერმერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ აუცილებლია საინფორმაციო სესიების ჩატარება უშუალოდ კოოპერატივებში ყველა წევრისათვის. როგორც წესი, ინფორმირებულია რამდენიმე ადამიანი, რომლებსაც ვერ მიაქვთ სათანადო ინფორმაცია ყველა წევრამდე. *„კარგი იქნება თუ კი კოოპერატივის საკითხებთან დაკავშირებული განმარტებები და ინფორმირებულობა მოხდება, რომ კოოპერატივის წევრებიც მეტად ინფორმირებული იყვნენ და გააზრებული ქონდეთ არსი“.*

დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ როგორც ფერმერები, ასევე დაინტერესებული მხარეები საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, იქნება ეს რადიო თუ ტელევიზია. კომუნიკაციის ეს ინსტრუმენტები განსაკურებულად აქტუალურია კოოპერირების დადებითი მხარეების დემონსტრირებისათვის. ხშირად გაჟღერდა მოსაზრება, რომ აუცილებელია წარმატებული კოოპერატივების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება, როგორც კარგი მაგალითის. ეს მნიშვნელოვნად შეცვლის დამოკიდებულებას და გაზრდის ფერმერთა მოტივაციას. ამასთან, აღნიშნული მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალგაზრდების დაინტერესებისთვისაც.

> *„ვისურვებდი რომ მეტი საშუალება იყოს კოოპერატივებისათვის ინფორმაციის მიწოდების, კი არის „ჩვენი ფერმა“ და რაღაცეები, მაგრამ სხვადასხვა ინსტიტუტებს შეუძლიათ მეტის გაკეთება. ასევე ისეთ მასმედიებს, რომლებსაც მეტი დაფარვა აქვს და რაიონებში მეტად ხელმისაწვდომია. ადგილობრივი ტელევიზია, ადგილობრივი რადიო თუ მეტად გააშუქებს, პოპულარიზაციას გაუკეთებს ამ საკითხებს და დაანახებს ...“*

„სახელმწიფომ არსებული კოოპერატივები სხვებს უნდა დაანახოს ამ კოოპერატივების წარმატება და ასე მოახდინოს იდეის პოპულარიზაცია“

ცალკე აღნიშვნის ღირსია სააგენტოს კომუნიკაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან და შეიძლება შეფასდეს, როგორც სამაგალითო. აბსოლუტურად ყველა რესპონდენტი აღნიშნავს რომ მათ აქვთ აქტიური და მჭიდრო ურთიერთობა სააგენტოს არა მხოლოდ ხელმძღვანელობასთან, არამედ თანამშრომლებთან. მათ აქვთ სათანადო სივრცე დააყენონ ესა თუ ის საკითხი დღის წესრიგში, ეწყობა ერთობლივი ღონისძიებები, ხდება გამოცდილების გაზიარება.

ძირითადი რეკომენდაციები

- **კვლავ აუცილებელია კოოპერაციის იდეის ფართო კომუნიკაცია და გავრცელება.** კოოპერატივის გამოკვლეულ წევრ რესპოდენტთა ნახევარზე მეტი აღნიშნავს, რომ მათ კოოპერატივი შექმნეს გრანტის მისაღებად ანდა შესაბამის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად. შედარებით მცირე ნაწილისათვის კი ძირითადი მამოძრავებელი ძალა ერთობლივი წარმოების შედეგად მიღებული უკეთესი შედეგებია. ასეთი ფერმერები კოოპერატივს მათთვის ბევრად უფრო ტრადიციულ მიდგომას „ნადს“ ადარებენ. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი „უკეთესი განზრახვით“ შექმნილი კოოპერატივები, ძირითადად მცირე ზომის არიან და წარმოადგენენ მცირე სამეზობლოს, სანათესაოს ანდა სამეგობროს ფორმალურ გაერთიანებას, რომლებსაც ჰქონდათ ერთობლივად საქმიანობის გაწევის პოზიტიური გამოცდილება. ფერმერთა საკმაოდ დიდი ნაწილი კვლავ ეჭვის თვალით უყურებს კოოპერაციის იდეას და ის კვლავ კოლექტიურ კოლმეურნეობასთან ასოცირდება. აღნიშნული გამოწვევა ცხადია მოკლევადიან პერიოდში ვერ მოგვარდება, თუმცა კვლავაც საჭიროა ცნობიერებისა და დამოკიდებულების ცვლილებისაკენ მიმართული ღონისძიებების გატარება, იქნება ეს ფორუმები, საინფორმაციო კამპანიები, წარმატების ისტორიების გავრცელება და ა.შ.
- **ადგილობრივი საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების გაძლიერება, მათ შორის კოოპერატივების საკითხებზე ინფორმირებულობისა და ცოდნის დონის ამაღლება.** ნემისმიერი შეთავაზებული შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციას ფერმერები, მათ შორის კოოპერატივის არსებული თუ პოტენციური წევერები იღებენ ადგილობრივი საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახურებიდან. ფაქტობრივი მდგომარეობით დანერგილია ერთი სარკმლის პრინციპი აღნიშნული სამსახურების სახით. თუმცა, დღის წესრიგში უნდა დადგეს აღნიშნული სამსახურების გაძლიერება როგორც ადამიანური რესურსების რაოდენობის, ასევე მიწოდებული სერვისებისა და ინფორმაციის ხარისხის ამაღლების კუთხით. ამასთან, საჭიროა რომ დაინერგოს ქმედითი სისტემები კოოპერატივების სააგენტოსა და ადგილობრივი სამსახურების კომუნიკაციის კუთხით.

- **მიზნობრივი პროგრამების სტრატეგიული დაგეგმვა.** მოტობლოკებით უზრუნველყოფა და მეფუტკრეობის ხელშემწყობის პროგრამები როგორც ბენეფიციარების, ასვე არა ბენეფიციარი კოოპერატივების მიერ დადებითად და საჭიროდ ფასდება. შედარებით დაბალი შეფასებები მიიღო მერძევეობისა და მევენახეობის მიმართულებებმა. რესპოდენტთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ ეს პროგრამები არაა მორგებული მათ ადგილობრივ საჭიროებებზე და ვერ ითვალისწინებს გეოგრაფიულ თავისებურებებს. მიმდინარე ეტაპზე სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამები შეიძლება შეფასდეს, როგორც კარგი დასაწყისი, თუმცა მნიშვნელოვანია, განხორციელდეს პროგრამების კონკრეტულ ინდიკატორებზე დაფუძნებული გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმარება, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც არსებული გამოწვევები, ასევე განისაზღვრება

სტრატეგიული მიზნები. პროგრამების დაგეგმარების გაუმჯობესების კუთხით ყველაზე ხშირად დასახელებული საკითხები იყო: რეგიონული თავისებურებების გათვალისწინება; სხვა დარგებისათვის ანალოგიური პროგრამების ამოქმედება (ძირითადად მემცენარეობის მიმართულებით) და მხარდაჭერა ტექნოლოგიების დანერგვის თვალსაზრისით.

- **კოოპერატივების შესახებ კანონის გადახედვა, აკუმულირებულ გამოცდილებაზე დაფუძნებით.** უშუალოდ კანონის შეფასება კვლევის ამოცანას არ წარმოადგენს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოვლინდა მისი დახვეწისა და გაუმჯობესების საკითხიც უკვე დაგროვილი პრაქტიკისა და გამოცდილების გათვალისწინებით. მათ შორის გამოიკვეთა: წესდებაში ცვლილების შეტანის საკითხი, კოოპერატივის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი აღდგენის პროცედურები (რაც საერთოდ არ რეგულირდება) და ა.შ.

- **კოოპერატივის წევრებისათვის პრაქტიკული სახელმძღვანელოს შემუშავება და მისი განახლების უზრუნველყოფა.** განსაკუთრებით ხშირად ფერმერთა მხრიდან დადგა კანონმდებლობის აღქმის და საჭირო პროცედურებს სათანადოდ გატარების სირთულეები. ამასთან დაკავშირებით, ისინი აღნიშნავენ, რომ ზოგადად პრობლემაა „ქაღალდთან მუშაობა", რისი არც ცოდნა და არც გამოცდილება ფერმერს არ გააჩნია. საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ გამონაკლისის გარეშე ყველა ფერმერი შეეხო კანონმდებლობის აღქმისა და ბიუროკრატიის სირთულეს. შესაბამისად, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა კოოპერატივის პრაქტიკული სახელმძღვანელოს შექმნა, რომლიც ასახავდა როგორც კანონმდებლობის განმარტებას და საჭირო ფორმების შევსების ინსტრუქციებს, ასევე მისცემდა პრაქტიკულ რჩევებს მენეჯმენტისა და ოპერირების კუთხითაც. შესაბამისად, აქტუალურია აღრიცხვიანობის პრობლემა. საუბარია არა უშუალოდ ბუღალტრულ აღრიცხვაზე, არამედ სხვადასხვა მართვასთან დაკავშირებული პროცესების დოკუმენტირებაზე. რაც მოითხოვს კონკრეტულ ცოდნასაც და უნარ-ჩვევებსაც.

- **კოოპერატივის წევრების ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაზრდა**. თვითონ ის ფაქტიც, რომ კოოპერატივის წევრები ათვითცნობიერებენ, რომ სჭირდებათ დამატებითი ცოდნის მიღება თამამად შეიძლება მიღწევად ჩაითვალოს. უნარების ზრდის გრძელვადიანი პროგრამის აუცილებლობაზე საუბრობენ სხვა დაინტერესებული მხარეებიც. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ მოთხოვნა საკმაოდ მრავალფეროვან მიმართულებებზეა, თუმცა განსაკუთრებული სიხშირით დასახელდა შემდეგი საკითხები: მენეჯმენტი, ფინანსები, დოკუმენტებთან მუშაობა, მარკეტინგული საკითხები და ა.შ. უნარების ზრდის თვალსაზრით, რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ საჭიროა მეტად პრაქტიკული ხასიათის კურსების შემუშავება, რომლებიც უშუალოდ მათ დარგზე და მათ კოოპერატივზე იქნება მორგებული.

- **ბაზარზე წვდომის ხელშეწყობა.** ამ მიმართულებით უკვე წარმატების მაგალითები გამოვლინდა მეფუტკრეობის დარგში, სადაც გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობით, მათ მნიშვნელოვნად შეძლეს ბაზრების დივერსიფიკაცია. შესაბამისად, კარგი იქნება თუ ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაშლის საქმიანობას სააგენტო და ამ გზით ხელს შეუწყობს კოოპერატივებს გაყიდვების უკეთ ორგანიზებაში. კოოპერატივების საკითხზე მომუშავე რამდენიმე საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ კოოპერატივების გაყიდვების ხელშეწყობისათვის **აუცილებლია პროდუქციის ბრენდირება და პოპულარიზაციაში ხელშეწყობა.** ცნობილია, რომ სააგენტოს ამ მიმართულებითაც უკვე დაწყებული აქვს მუშაობა.

- **ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.** ფინანსებზე ხელმისაწვდომობა არა მხოლოდ კოოპერატივების, არამედ ზოგადად სოფლის მეურნეობაში ჩართული ფერმერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერია. ამასთან, თუ აგრო კრედიტების, ასევე მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდამჭერმა სახელმწიფო პროექტებმა, გააჩინეს გარკვეული შესაძლებლობები ფერმერული მეურნეობებისათვის, ეს პროგრამები ფაქტობრივად არაა ხელმისაწვდომი კოოპერატივებისათვის. გარდა ამისა, კვლევის პროცესში გამოვლინდა ერთეული კოოპერატივები, რომლებიც მზად იყვნენ ჩვეულებრივი ბიზნეს-სესხი აეღოთ ბანკიდან, თუმცა ეს მათ ვერ მოახერხეს. ცხადია, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება, მათ შორის აქტუალურია თანხები საბრუნავი საშუალებებისათვის, დაკავშირებულია საკმაოდ დიდ ფინანსურ რესურსებთან და სათანადო ადმინისტრირებასთან. თუმცა, ფაქტია, რომ ამ მიმართულებით განხილვის ღირსია როგორც მცირე გრანტების ასევე შეღავათიანი კრედიტების შესაძლებლობის შეთავაზება უშუალოდ კოოპერატივებისათვის.

- **მას-მედიის აქტიური ჩართვა და წარმატების ისტორიების გაშუქების ხელშეყობა.** დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ როგორც ფერმერები, ასევე დაინტერესებული მხარეები საინფორმაციო კამპანიების ჩატარებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, იქნება ეს რადიო თუ ტელევიზია. კომუნიკაციის ეს ინსტრუმენტები განსაკუთრებულად აქტუალურია კოოპერირების დადებითი მხარეების დემონსტრირებისათვის. ხშირად გაჟღერდა მოსაზრება, რომ აუცილებელია წარმატებული კოოპერატივების შესახებ ინფორმაციის ფართოდ გავრცელება, როგორც კარგი მაგალითისა. ეს მნიშვნელოვნად შეცვლის დამოკიდებულებას და გაზრდის ფერმერთა მოტივაციას. ამასთან, აღნიშნული მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ახალგაზრდების დაინტერესებისთვისაც. ეს უკანასკნელი საკითხი საკმაოდ ხშირად დასახელდა როგორც პრობლემა არსებული კოოპერატივების წარმომადგენლების მხრიდან.

- **კოოპერატივების განვითარების სააგენტოს გაძლიერება**. შესაბამისად, კოოპერატივების განვითარების სახლმწიფო პოლიტიკის ეფექტინობის გაზრდისათვის, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-სამეუნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს, როგორც ინსტიტუტის არსებობას და ახლა დღის წესრიგში უნდა დადგეს მისი მანდატის გაფართოება და შესაძლებლობების გაძლიერება, რათა განახორციელოს სხვადასხვა და დივერსიფიცირებული პროგრამები, მათ შორის პრიორიტეტულ დარგებში კოოპერატივების გაძლიერების, კოოპერატივების წევრთა მუდმივი გადამზადების, ფინანსებზე ხელმისაწვდომობისა და გაყიდვების ხელშწყობის ღონისძიებების გატარებისათვის.

დანართი - კვლევის სახელმძღვანელო ინსტრუმენტები

დანართი1. ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო

ფოკუს-ჯგუფის სახელმძღვანელო

კვლევის მიზანი: ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის და შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შეფასება ფერმერთა მხრიდან, მათი მოლოდინების, დამოკიდებულებებისა და საჭიროებების ტენდენციების გამოვლენა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

წინამდებარე ინსტრუმენტის სპეციფიკური მიზანია: კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის **ფერმერთა თვალით იდენტიფიცირებული შეფასებითი დებულებების გამოვლენა, ასევე კოოპერირების მიმართ ფერმერთა დამოკიდებულების, ასევე განვითარების და დაკავშირებული საჭიროებების იდენტიფიკაცია.**

მოდერატორს: გააცანით ჯგუფის წევრებს კვლევის მიზნები და თხოვეთ გაგეცნონ და თან მოკლედ გაგაცნონ რა შეხება ჰქონიათ კოოპერატივთან, არიან წევრები, დააზუსტონ დარგი, ასევე უსარგებლიათ თუ არა რომელიმე სახელმწიფო კოოპერატივებთან დაკავშირებული პროგრამით. ასევე ისინი ვინც არ არინ წევრები, რატომ შეიკავეს თავი ამ გადაწყვეტილების მიღებისგან.

ამოცანა #1. კოოპერაციის შესახებ წარმოდგენები და დამოკიდებულებები

მნიშვნელოვანია: მოგიყვანონ კონკრეტული მაგალითები, აგიხსნან/დაგისაბუთონ საკუთარი პოზიციები; ეცადეთ ამოიღოთ რაც შეიძლება მეტი შეფასებითი დებულებები, ეპითეტები, გამოვავლინოთ მათი დამოკიდებულებები და მოლოდინები. სთხოვეთ, აღწერონ კონკრეტული მაგალითი (ქეისი).

#	კითხვა/საკითხი
1	ზოგადად რას ფიქრობთ კოოპერატივებზე? წევრებმა გაგვიზიარეთ რატომ გადაწყვიტეთ გაწევრიანება, ხოლო მათ ვინც თავი შეიკავეთ ამ გადაწყვეტილების მიღებისგან გთხოვთ აგვიხსნათ მიზეზები? (მოდერატორს - ეცდათ მუდმივად დაასახელონ რა მიმართულებაშია ჩართული რესპოდენტი)
	როგორ ფიქრობთ რა არის კოოპერირების დადებითი მხარეები?
3	როგორ ფიქრობთ რა არის კოოპერირების უარყოფითი მხარეები?
4	დაესწარით თუ არა კოოპერატივების სამართლებრივ ტრენინგებს? რა შეცვალა ამ ტრენინგებმა თქვენს დამოკიდებულებაში კოოპერირების მიმართ? (მაგალითად სხვანაირად შევხედე ვალდებულებებს, დავინახე რომ არც ისე მარტივია და ა.შ)
5	კოოპერირების ხელშემწყობი რომელი პროგრამების შესახებ გსმენიათ? მიგიღიათ თუ არა მონაწილეობა?
6	როგორ შეაფასებდით ამ პროგრამებს? (მოტობლოკები, მეფუტკრეობა, მერძევეობა) (დაასახელონ ძლიერი და სუსტი მხარეები)

7	რა ტიპის ანალოგიური მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება მიგაჩნიათ საჭიროდ? (დარგობრივი, უნარების და ცოდნის გაძლიერება, საგრანტო კომპონენტები და ა.შ)

ამოცანა #2 ფერმერთა ინფორმირებულობა და საინფორმაციო წყაროები

#	**კითხვა/საკითხი**
1	საიდან იღებთ ინფორმაციას კოოპერატივების ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ?
2	რომელი წყაროებითა და რა ფორმით ისურვებდით რომ მიგეღოთ ინფორმაცია კოოპერატივებთან დაკავშირებული არსებული ინიციატივებისა და შესაძლებლობების შესახებ.
3	რამდენად იცნობთ კოოპერატივების განვითარების სააგენტოს? რა სიხშირით და ფორმით გიკავშირდებიან სააგენტოს წარმომადგენლები?
4	თქვენ თვითონ რა ფორმით გაქვთ ურთიერთობა სააგენტოსთან? შედიხართ თუ არა სააგენტოს ვებ-გვერდზე? გაქვთ თუ არა სატელეფონო კომუნიკაცია?
5	გთხოვთ აღწეროთ როგორია თქვენთვის სასურველი კომუნიკაციის ფორმა და არხები: როგორც ინფორმაციის მიღების, ასევე საკუთარი პოზიციების გახმოვანების კუთხით?

ამოცანა#3 მხარდამჭერი პროექტის საჭიროება, ძირითადი რისკები და გაუმჯობესების ხედვები

მოდერატორს: ამ ბლოკში უნდა გამოვლინდეს პირების პირადი, სუბიექტური დამოკიდებულებები და აღქმა. შესაბამისად ნებისმიერი მათი პოზიცია არის საინტერესო. თუმცა აუცილებელია, რომ მოხდეს ამა თუ იმ პოზიციის ახსნა რატომ ფიქრობენ ასე.

#	**კითხვა/საკითხი**
1	თქვენი აზრით ზოგადად რამდენად საჭიროა კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა?
2	რა მიმართულებებით უნდა მოხდეს ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება? (მიუხედავად იმისა რა არის უკვე მიმდინარე პროექტი და რა არა?)
3	თქვენი აზრით, რა რისკები შეიძლება ჰქონდეს ამგვარი პროექტის განხორციელებას (მაგალითად, კონკურენციულ გარემოში ჩარევა)
4	იცნობთ თუ არა კოოპერატივებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი შეფასებები და გაუმჯობესების რეკომენდაციები
5	რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს კოოპერატივები, რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო და ვისი მხრიდან?
6	გთხოვთ დაასახლოთ კოოპერატივების განვითარების კუთხით: ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა და 3 მიღწევა დღევანდელი მდგომარეობით. (ხელშემშლელი და ხელშემწყობი ფაქტორები)

7	თქვენი აზრით რა ტიპის ტრენინგები იქნებოდა ეფექტიანი კოოპერატივებისათვის და რაში დაეხმარებოდა?
8	რა იქნებოდა თქვენი ძირითადი რჩევა კოოპერატივების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის კუთხით?
9	არის თუ არა რაიმე დამატებითი მნიშვნელოვანი საკითხი ანდა მოსაზრება (რომელსაც არ შევეხეთ) აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რომელიც გსურთ რომ გაგვიზიაროთ?

ჩაღრმავებული ინტერვიუების სახელმძღვანელო

მიზნობრივი პროგრამის/ების ბენეფიციარი კოოპერატივი

კვლევის მიზანი: ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის და შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შეფასება ფერმერთა მხრიდან, მათი მოლოდინების, დამოკიდებულებებისა და საჭიროებების ტენდენციების გამოვლენა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

1. ზოგადად როგორ შეაფასებთ კოოპერატივების იდეას?
2. როგორ ფიქრობთ რა არის კოოპერირების დადებითი და უარყოფითი მხარეები?
3. დაესწარით თუ არა კოოპერატივების სამართლებრივ ტრენინგებს? რა შეცვალა ამ ტრენინგებმა თქვენს და თქვენი წევრების დამოკიდებულებაში კოოპერირების მიმართ?
4. კოოპერირების ხელშემწყობი რომელი პროგრამების შესახებ გსმენიათ და რომელში მიგიღიათ მონაწილეობა?
5. როგორ შეაფასებდით ამ პროგრამებს? რა იყო ამ პროგრამის დადებითი და უარყოფითი მხარე? რა ზეგავლენა მოახდინა მან კოოპერატივის განვითარების კუთხით?
6. რა ტიპის ანალოგიური მხარდაჭერის პროგრამის განხორცილება მიგაჩნიათ საჭიროდ? და რა მიმართულებით?
7. საიდან იღებთ ინფორმაციას კოოპერატივების ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ?
8. რომელი წყაროებითა და რა ფორმით ისურვებდით რომ მიიღოთ ინფორმაცია კოოპერატივებთან დაკავშირებული არსებული ინიციატივებისა და შესაძლებლობების შესახებ.
9. რამდენად იცნობთ კოოპერატივების განვითარების სააგენტოს? რა სიხშირით და ფორმით გიკავშირდებიან სააგენტოს წარმომადგნელები?
10. თქვენ თვითონ რა ფორმით გაქვს ურთიერთობა სააგენტოსთან? შედიხართ თუ არა სააგენტოს ვებ-გვერდზე? გაქვთ თუ არა სატელეფონო კომუნიკაცია?
11. გთხოვთ აღწეროთ როგორია თქვენთვის სასურველი კომუნიკაციის ფორმა და არხები: როგორც ინფორმაციის მიღების, ასევე საკუთარი პოზიციების გახმოვანების კუთხით?
12. თქვენი აზრით ზოგადად რამდენად საჭიროა კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა?

13. რა მიმართულებებით უნდა მოხდეს ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება?
14. თქვენი აზრით, რა რისკები შეიძლება ჰქონდეს ამგვარი პროექტების განხორციელებას (მაგალითად, კონკურენციულ გარემოში ჩარევა)
15. იცნობთ თუ არა კოოპერატივებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი შეფასებები და გაუმჯობესების რეკომენდაციები.
16. რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს კოოპერატივები, რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო და ვისი მხრიდან?
17. გთხოვთ დაასახელოთ კოოპერატივების განვითარების კუთხით: ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა და 3 მიღწევა დღევანდელი მდგომარეობით.
18. თქვენი აზრით რა ტიპის ტრენინგები იქნებოდა ეფექტიანი კოოპერატივებისათვის და რაში დაეხმარებოდა?
19. რა იქნებოდა თქვენი ძირითადი რჩევა კოოპერატივების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის კუთხით?
20. არის თუ არა რაიმე დამატებითი მნიშვნელოვანი საკითხი ანდა მოსაზრება (რომელსაც არ შევეხეთ) აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რომელიც გსურთ რომ გაგვიზიაროთ?

მიზნობრივი პროგრამის/ების არაბენეფიციარი კოოპერატივი

კვლევის მიზანი: ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის და შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შეფასება ფერმერთა მხრიდან, მათი მოლოდინების, დამოკიდებულებებისა და საჭიროებების ტენდენციების გამოვლენა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

1. ზოგადად როგორ შეფასებთ კოოპერატივების იდეას?
2. როგორ ფიქრობთ რა არის კოოპერირების დადებითი და უარყოფითი მხარეები?
3. დაესწარით თუ არა კოოპერატივების სამართლებრივ ტრენინგებს? რა შეცვალა ამ ტრენინგებმა თქვენს და თქვენი წევრების დამოკიდებულებაში კოოპერირების მიმართ?
4. კოოპერირების ხელშემწყობი რომელი პროგრამების შესახებ გსმენიათ და რომელში მიგიღიათ მონაწილეობა? თუ არ მიგიმართავთ რა იყო ამის მიზეზი?
5. როგორ შეაფასებდით ამ პროგრამებს? თქვენი აზრით თქვენ რატომ არ/ვერ ისარგებლეთ ამ პროგრამებით?
6. რა ტიპის ანალოგიური მხარდაჭერის პროგრამის განხორცილება მიგაჩნიათ საჭიროდ? და რა მიმართულებით?
7. საიდან იღებთ ინფორმაციას კოოპერატივების ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ?

8. რომელი წყაროებითა და რა ფორმით ისურვებდით რომ მიიღოთ ინფორმაცია კოოპერატივებთან დაკავშირებული არსებული ინიციატივებისა და შესაძლებლობების შესახებ.
9. რამდენად იცნობთ კოოპერატივების განვითარების სააგენტოს? რა სიხშირით და ფორმით გიკავშირდებიან სააგენტოს წარმომადგენლები?
10. თქვენ თვითონ რა ფორმით გაქვთ ურთიერთობა სააგენტოსთან? შედიხართ თუ არა სააგენტოს ვებ-გვერდზე? გაქვთ თუ არა სატელეფონო კომუნიკაცია?
11. გთხოვთ აღწეროთ როგორია თქვენთვის სასურველი კომუნიკაციის ფორმა და არხები: როგორც ინფორმაციის მიღების, ასევე საკუთარი პოზიციების გახმოვანების კუთხით?
12. თქვენი აზრით ზოგადად რამდენად საჭიროა კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა?
13. რა მიმართულებებით უნდა მოხდეს ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება?
14. თქვენი აზრით, რა რისკები შეიძლება ჰქონდეს ამგვარი პროექტების განხორციელებას (მაგალითად, კონკურენციულ გარემოში ჩარევა)
15. იცნობთ თუ არა კოოპერატივებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი შეფასებები და გაუმჯობესების რეკომენდაციები.
16. რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს კოოპერატივები, რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო და ვისი მხრიდან?
17. გთხოვთ დაასახლოთ კოოპერატივების განვითარების კუთხით: ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა და 3 მიღწევა დღევანდელი მდგომარეობით.
18. თქვენი აზრით რა ტიპის ტრენინგები იქნებოდა ეფექტიანი კოოპერატივებისათვის და რაში დაეხმარებოდა?
19. რა იქნებოდა თქვენი ძირითადი რჩევა კოოპერატივების განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის კუთხით?
20. არის თუ არა რაიმე დამატებითი მნიშვნელოვანი საკითხი ანდა მოსაზრება (რომელსაც არ შევეხეთ) აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რომელიც გსურთ რომ გაგვიზიაროთ?

ადგილობრივი საკონსულტაციო სამსახურის წარმომადგენლები

კვლევის მიზანი: ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის და შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შეფასება ფერმერთა მხრიდან, მათი მოლოდინების, დამოკიდებულებებისა და საჭიროებების ტენდენციების გამოვლენა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

1. ზოგადად როგორ შეფასებთ კოოპერატივების განვითარების მდგომარეობას დღეს? როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხების მიმართ? შეიცვალა თუ არა ის ბოლო პერიოდის განმავლობაში.

2. როგორ ფიქრობთ რა არის კოოპერირების დადებითი და უარყოფითი მხარეები - როგორც თქვენი აზრით, ასევე რას ფიქრობენ ფერმერები?
3. თქვენი აზრით, რა არის იმ ფერმერების ძირითადი არგუმენტები და პოზიციები, რომლებიც თავს იკავებენ კოოპერატივებში გაერთიანებაზე?
4. კოოპერირების ხელშემწყობ რომელ პროგრამებზე არის ყველაზე მაღალი მოთხოვნა თქვენს მუნიციპალიტეტში?
5. როგორ შეაფასებდით ამ პროგრამებს? რა იყო ამ პროგრამის დადებითი და უარყოფითი მხარე? რა ზეგავლენა მოახდინა მან კოოპერატივის განვითარების კუთხით?
6. რა ტიპის ანალოგიური მხარდაჭერის პროგრამის განხორცილება მიგაჩნიათ საჭიროდ? და რა მიმართულებით?
7. საიდან იღებენ კოოპერატივები ინფორმაციას ხელშემწყობი პროგრამების შესახებ ?
8. რომელი წყაროებითა და რა ფორმები მიგაჩნიათ ოპტიმალურად კოოპერატივებთან დაკავშირებული არსებული ინიციატივებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.
9. თქვენ თვითონ რა ფორმით გაქვს ურთიერთობა კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან? როგორ შეაფასებდით მათთან კომუნიკაციას?
10. თქვენი აზრით ზოგადად რამდენად საჭიროა კოოპერატივების განვითარების ხელშეწყობა?
11. თქვენი აზრით, რა რისკები შეიძლება ჰქონდეს ამგვარი პროექტების განხორციელებას (მაგალითად, კონკურენციულ გარემოში ჩარევა,)
12. როგორ შეაფასებდით კოოპერატივებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას? გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი გაუმჯობესების რეკომენდაციები.
13. რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს კოოპერატივები, რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო და ვისი მხრიდან?
14. გთხოვთ დაასახლოთ კოოპერატივების განვითარების კუთხით: ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა და 3 მიღწევა დღევანდელი მდგომარეობით.
15. თქვენი აზრით რა ტიპის ტრენინგები იქნებოდა ეფექტიანი კოოპერატივებისათვის და რაში დაეხმარებოდა?
16. რა იქნებოდა თქვენი ძირითადი რჩევა კოოპერატივების განვითარებისათვის სახელმწიფო პოლიტიკის კუთხით?
17. არის თუ არა რაიმე დამატებითი მნიშვნელოვანი საკითხი ანდა მოსაზრება (რომელსაც არ შევეხეთ) აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რომელიც გსურთ რომ გაგვიზიაროთ?

კოოპერირების საკითხზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენელები

კვლევის მიზანი: ფერმერთა კოოპერირების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკის და შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების შეფასება ფერმერთა მხრიდან, მათი მოლოდინების,

დამოკიდებულებებისა და საჭიროებების ტენდენციების გამოვლენა, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

1. გთხოვთ გაგვიზიაროთ კოოპერატივების განვითარების რა ტიპის მხარდამჭერ საქმიანობებს ახორციელებთ და რომელ რეგიონებში?
2. ზოგადად როგორ შეფასებთ კოოპერატივების განვითარების მდგომარეობას დღეს? როგორია მოსახლეობის დამოკიდებულება ამ საკითხების მიმართ? შეიცვალა თუ არა ის ბოლო პერიოდის განმავლობაში.
3. როგორ ფიქრობთ რა არის კოოპერირების დადებითი და უარყოფითი მხარეები - როგორია ფერმერთა პოზიციები იგივე საკითხზე?
4. თქვენი აზრით, რა არის იმ ფერმერების ძირითადი არგუმენტები და პოზიციები, რომლებიც თავს იკავებენ კოოპერატივებში გაერთიანებაზე?
5. როგორ შეაფასებდით კოოპერირების ხელშემწყობ სახელმწიფო პოლიტიკას, ასევე იმ პროგრამებს რომლებსაც ახორციელებს სააგენტო?
6. რა ტიპის ანალოგიური მხარდაჭერის პროგრამის განხორცილება მიგაჩნიათ საჭიროდ? და რა მიმართულებით?
7. რომელი წყაროებითა და რა ფორმები არის ოპტიმალური კოოპერატივებთან დაკავშირებული არსებული ინიციატივებისა და შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელების კუთხით.
8. თქვენ თვითონ გაქვთ თუ არა ურთიერთობა კოოპერატივების განვითარების სააგენტოსთან? როგორ შეაფასებდით მათთან კომუნიკაციას?
9. თქვენი აზრით, რა რისკები შეიძლება ქონდეს ამგვარი მხარდამჭერი პროექტების განხორციელებას (მაგალითად, კონკურენციულ გარემოში ჩარევა)
10. როგორ შეაფასებდით კოოპერატივებთან დაკავშირებულ კანონმდებლობას? გთხოვთ გაგვიზიაროთ თქვენი გაუმჯობესების რეკომენდაციები.
11. რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს კოოპერატივები, რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო და ვისი მხრიდან?
12. გთხოვთ დაასახლოთ კოოპერატივების განვითარების კუთხით: ყველაზე მნიშვნელოვანი 3 პრობლემა და 3 მიღწევა დღევანდელი მდგომარეობით.
13. თქვენი აზრით რა ტიპის ტრენინგები იქნებოდა ეფექტიანი კოოპერატივებისათვის და რაში დაეხმარებოდა?
14. რა იქნებოდა თქვენი ძირითადი რჩევა კოოპერატივების განვითარებისათვის სახელმწიფო პოლიტიკის კუთხით?
15. არის თუ არა რაიმე დამატებითი მნიშვნელოვანი საკითხი ანდა მოსაზრება (რომელსაც არ შევეხეთ) აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, რომელიც გსურთ რომ გაგვიზიაროთ?